

# ახალი საგანმანათლებლო რეალობა

## ტერმინები, გამოწვევები, რეკომენდაციები



Co-funded by the  
Erasmus+ Programme  
of the European Union

პროექტი თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. წინამდებარე პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორების მოსაზრებას და ევროკავშირი არაა პასუხისმგებელი წარმოდგენილ ინფორმაციაზე. ავტორების სტილი დაცულია.

Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი

2020 წელი

# სარჩევი

შესავალი.....	3
<b>1. სწავლების არატრადიციულ, ალტერნატიულ ფორმებთან დაკავშირებული ტერმინების მიმოხილვა (ტერმინები საერთაშორისო ორგანიზაციების პუბლიკაციებსა და სხვადასხვა ქვეყნის რეგულაციებში).....</b>	<b>5</b>
<b>1.1 საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განმარტებული ტერმინები .....</b>	<b>5</b>
1.1.1 OECD.....	5
1.1.2. იუნესკო.....	8
1.1.3. ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელი (ENQA).....	9
1.1.4. ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია (EUA) .....	11
1.1.5. სწავლების თანამეგობრობა (Commonwealth of Learning (CoL)) .....	12
<b>1.2. სხვადასხვა ქვეყნის რეგულაციები .....</b>	<b>14</b>
1.2.1 აშშ.....	14
1.2.2 გაერთიანებული სამეფო.....	19
1.2.3. ირლანდია.....	21
<b>1.3 ტერმინების ურთიერთშედარება.....</b>	<b>21</b>
1.3.1 დისტანციური, ონლაინ თუ ელექტრონული სწავლება.....	21
1.3.2 შერეული, ჰიბრიდული თუ კომბინირებული სწავლება .....	23
1.3.3 ელექტრონული სწავლება თუ ციფრული ტექნოლოგიით გაუმჯობესებული/გაძლიერებული სწავლება .....	23
1.3.4 დისტანციური (ან ონლაინ) სწავლება თუ დაშორებით სწავლება.....	25
<b>2. დისტანციური და ელექტრონული სწავლების განმარტებები უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში.....</b>	<b>27</b>
<b>3. სწავლების ახალი ფორმები (ონლაინ, შერეული) და გამოწვევები.....</b>	<b>30</b>
<b>4. რეკომენდაციები.....</b>	<b>33</b>
<b>დანართები .....</b>	<b>37</b>
<b>გამოყენებული ლიტერატურა და სასარგებლო ბმულები .....</b>	<b>41</b>

## შესავალი

კოვიდ19-ის პანდემიამ ახალი რეალობის წინაშე დააყენა უმაღლესი განათლების სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ დისტანციურად, ინტერნეტის მეშვეობით სწავლება არაა განსაკუთრებული სიახლე, მისი ინტენსიური განხორციელება საქართველოში შესაძლებელი გახდა მხოლოდ 2020 წელს, როდესაც კოვიდ19-მა ალტერნატივა არ დაუტოვა უმაღლესი განათლების სისტემას და ის აიძულა დაუყოვნებლივ განეხორციელებინა მასშტაბური ექსპერიმენტი.

პანდემიის გამო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (უსდ) სერიოზული გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ, ან უნდა შეეჩერებინათ სასწავლო პროცესი ან გაეგრძელებინათ ის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო პირობებში. სასწავლო პროცესის გადარჩენის მიზნით უსდ-ბი სასწრაფოდ გადავიდნენ დისტანციურად, ინტერნეტის საშუალებით სწავლებაზე. ახალ სიტუაციასთან მიმართებაში დაიწყო მრავალფეროვანი ტერმინების გამოყენება, რომელთა დეფინიციებმა ფართო დისკუსია გამოიწვია არა მარტო საქართველოში.

ზოგადად, კოვიდ19-მდეც კი განათლების მიღების არატრადიციულ ფორმებთან დაკავშირებული ტერმინების ერთიანი, უნივერსალური გაგება საერთაშორისო დონეზე არ არსებობდა. ტრადიციული სწავლება-სწავლისგან განსხვავებულ ფორმებთან მიმართებაში სხვადასხვა ტერმინი გამოიყენება. ესენია: ელექტრონული სწავლება (e-learning), დისტანციური განათლება/სწავლება (distance education/distance learning)<sup>1</sup> ონლაინ განათლება/სწავლება (online education/learning), შერეული სწავლება (blended learning), ჰიბრიდული სწავლება (hybrid learning). კოვიდ19-ის დროს დისტანციური და ასევე ონლაინ სწავლების ტერმინების საპირისპიროდ წინ წამოიწია ტერმინმა „დაშორებული სწავლა და სწავლება საგანგებო სიტუაციის დროს“ (emergency remote learning and teaching). ამ ტერმინს იყენებს ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია (EUA) 2020 წლის სექტემბრის მოკლე მიმოხილვაში - “European higher education in the Covid-19 crisis”. მსგავს ტერმინზე “emergency remote teaching” ყურადღებას ამახვილებენ ჩრდილო ამერიკაში, სადაც უნივერსიტეტების დიდი ნაწილი პანდემიის დაწყებამდეც პარალელურ რეჟიმში ახორციელებდა როგორც ტრადიციულ, ასევე ონლაინ სწავლებას. ამდენად, კოვიდ19-ის დროს ტრადიციული სასწავლო პროცესის ონლაინ ფორმატში გადატანამ გამოაჩინა განსხვავებები “არსებულ ონლაინ სწავლებასა” და “დროებით ონლაინ სწავლებას” შორის.

საქართველოში კოვიდ19-ის მიერ შექმნილი მდგომარეობის გამო უმაღლესი განათლების შესახებ კანონში განხორციელდა ცვლილებები და დაემატა ტერმინი “დისტანციური სწავლება”, სწავლების ახალი ფორმისთვის სამართლებრივი საფუძველი შექმნის მიზნით. ამასთან, მნიშვნელოვანია შეიქმნას ისეთი სამართლებრივი საფუძველები, რაც საშუალებას მისცემს უსდ-ებს კოვიდ19-ის შემდგომაც განხორციელონ სწავლა და სწავლება ტრადიციულისგან განსხვავებული ფორმებით: სავარაუდოდ პანდემიის შემდეგ, უკვე ეკონომიკური მიზეზების გამო, შენარჩუნდება შერეული ფორმით სწავლების აუცილებლობა.

<sup>1</sup> N.B. უმაღლესი განათლების შესახებ კანონში “Learning”-ი ნათარგმნია, როგორც “სწავლება”.

წინამდებარე დოკუმენტი განიხილავს ზემოაღნიშნული ტერმინების განმარტებებს და ალტერნატიული ფორმებით სწავლების ზოგიერთ გამოწვევას და იძლევა რეკომენდაციებს ალტერნატიული სწავლების ფორმების ტერმინებთან დაკავშირებით.

## 1. სწავლების არატრადიციულ, ალტერნატიულ ფორმებთან დაკავშირებული ტერმინების მიმოხილვა (ტერმინები საერთაშორისო ორგანიზაციების პუბლიკაციებსა და სხვადასხვა ქვეყნის რეგულაციებში)

დისტანციური, ელექტრონული, დაშორებით თუ ონლაინ სწავლების ტერმინების ერთიანი, უნივერსალური განმარტებები არ არსებობს. ერთი და იგივე ტერმინი ზოგიერთ შემთხვევაში განსხვავებულადაა განმარტებული და განსხვავებული ტერმინები კი სინონიმებად გამოიყენება. სწავლების არატრადიციულ ფორმებთან დაკავშირებული ტერმინები განმარტებულია, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების (UNESCO, OECD, CoL, ENQA, EUA), ასევე სხვადასხვა ქვეყნების მიერ.

უმალეს განათლებაში დიდი გამოცდილება დისტანციურ, ონლაინ და ელექტრონულ სწავლებაში აქვთ ინგლისურენოვან ქვეყნებს. დისტანციური განათლებისა და მასთან დაკავშირებული სხვა ტერმინების განმარტებები ასახულია რეგულაციებში. მაგ., აშშ ფედერალური კანონით (Higher education opportunity act. 2008) განმარტავს დისტანციური განათლების ტერმინს. ამ ტერმინისა და სხვა დაკავშირებული ტერმინების განმარტებები გვხვდება სხვადასხვა შტატისა და სპეციალურ სააკრედიტაციო ორგანიზაციის რეგულაციებში. ირლანდია და დიდი ბრიტანეთი ტერმინებს განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტებით. აღსანიშნავია, რომ ყველა ინგლისურენოვანი ქვეყანა სრულად არ განმარტავს ყველა შესაბამის ტერმინს.

განსახილველი ტერმინებია:

- დისტანციური განათლება/სწავლება (distance education/learning)
- ელექტრონული სწავლება (e-Learning/eLearning)
- ონლაინ სწავლება (online learning)
- შერეული (blended learning)
- ჰიბრიდული სწავლება (hybrid learning)
- დაშორებული სწავლება საგანგებო სიტუაციის დროს (emergency remote teaching<sup>2</sup>)

### 1.1 საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განმარტებული ტერმინები

#### 1.1.1 OECD

OECD-ის 2005 წლის პუბლიკაცია “E-learning in Tertiary Education” და იგივე სახელწოდების პოლიტიკის განაცხადი განმარტავს ტერმინს ელექტრონული სწავლება და განსაზღვრავს ელექტრონული სწავლების ტიპებს:

*“ელექტრონული სწავლება გულისხმობს უმალეს განათლებაში სწავლების გასაუმჯობესებლად/გასაძლიერებლად ან/და მხარდასაჭერად ინფორმაციისა და*

<sup>2</sup> N.B. სიტყვა “Remote” შეიძლება ითარგმნოს, როგორც დისტანციური, მაგრამ ამ შემთხვევაში მას ვერ გავარჩევთ ტერმინისგან “დისტანციური სწავლება”

კომუნიკაციის ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ მოწინავე აპლიკაციები არის ელექტრონული სწავლების უპირველესი ინტერესი, ის შეეხება ორივეს: მთლიანად ონლაინ სწავლებას და კამპუსში (ფიზიკურ გარემოში) სწავლებას ან სხვა სახის დისტანციურ მიწოდებას, რომელსაც გარკვეულწილად ემატება ICT-ი. ეს დამატებითი მოდელი მოიცავს საქმიანობას ICT-ს საბაზისო გამოყენებიდან (მაგ. კომპიუტერის გამოყენება დავალების ტექსტის დასამუშავებლად) უფრო თანამედროვე გამოყენებამდე (მაგ. სპეციალისტის დისციპლინური პროგრამა, პორტატული აპარატები, სწავლის მართვის სისტემები, ადაპტური ჰიპერმედია, ხელოვნური ინტელექტის მოწყობილობები, სიმულაციები) და ა.შ.).<sup>3</sup>”

ელექტრონული სწავლების განმარტება და ელექტრონული სწავლების ტიპები მოკლედ ჩამოყალიბებულია ზემოაღნიშნული პუბლიკაციის საფუძველზე შემუშავებულ და იგივე სახელწოდების მქონე OECD-ის პოლიტიკის განაცხადში - “E-learning in Tertiary Education”:

“ელექტრონული სწავლება გულისხმობს უმაღლეს განათლებაში სწავლების გასაუმჯობესებლად/გასაძლიერებლად ან/და მხარდასაჭერად ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებას. ეს მოიცავს სისტემების ფართო სპექტრს, კამპუსში სწავლის დროს სტუდენტის მიერ ელფოსტის გამოყენებიდან და კურსის სამუშაოს ონლაინ ხელმისაწვდომობიდან დაწყებული და მთლიანად ონლაინ პროგრამებამდე დამთავრებული.

ელექტრონული სწავლება შეიძლება დაიყოს რამდენიმე განსხვავებულ ტიპად. ყველა შემთხვევაში პროგრამებს ახორციელებს კამპუსზე დაფუძნებული ინსტიტუცია, მაგრამ განსხვავებული ზომით იყენებს ინტერნეტთან ან სხვა ონლაინ ქსელებთან დაკავშირებულ ელექტრონულ სწავლებას.

**ინტერნეტით შევსებული/მხარდაჭერილი (Web-supplemented)** პროგრამა ფოკუსირებულია აუდიტორიაში სწავლებაზე, მაგრამ მოიცავს ელემენტებს, როგორცაა პროგრამის მონახაზის, ლექციის შენიშვნების/ჩანაწერების ონლაინ ხელმისაწვდომობა, ელ.ფოსტის გამოყენება, გარე ონლაინ რესურსების ლინკები/ბმულების მითითება.

**ინტერნეტზე დამოკიდებული (Web-dependent)** პროგრამა სტუდენტებისგან საგანმანათლებლო პროგრამის ისეთი ძირითადი ელემენტებისთვის, როგორცაა ონლაინ დისკუსიები, შეფასება ან ონლაინ პროექტი/კოლაბორაცია, ინტერნეტის გამოყენებას მოითხოვს, მაგრამ აუდიტორიაში გატარებული დროის მნიშვნელოვანი შემცირების გარეშე.

**შერეული ფორმის (mixed mode)** პროგრამაში ელექტრონული სწავლების ელემენტი იწყებს აუდიტორიული დროის ჩანაცვლებას. ონლაინ დისკუსიები, შეფასება, ან პროექტებში/კოლაბორაციული მუშაობა ცვლის პირისპირ სწავლებას და სწავლას,

<sup>3</sup> OECD (2005). E-learning in Tertiary Education. გვ.11  
<https://www.oecd-ilibrary.org/docserver/9789264009219-en.pdf?expires=1598303313&id=id&accname=guest&checksum=A6BB6B8D0C6ADC16FF424EE065360421>

თუმცა კამპუსში (აუდიტორიაში) მნიშვნელოვანი დროით სწავლა არის ამ შერეული ფორმის ნაწილი.

როდესაც პროგრამა შეთავაზებულია **სრულად ონლაინ**, სტუდენტებს შეუძლიათ შეისწავლონ უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული პროგრამა სხვა ქალაქიდან, ქვეყნიდან ან დროის ზონიდან.<sup>4</sup>

OECD-ი ელექტრონულ სწავლებას ფართოდ განმარტავს. განმარტებაში მთავარი აქცენტი გაკეთებულია ინფორმაციისა და კომუნიკაციების ტექნოლოგიის გამოყენებაზე, მნიშვნელობა არა აქვს სად ხორციელდება სასწავლო პროცესი, კამპუსში თუ მისგან დაშორებით. ამ განმარტების მიხედვით დისტანცია არაა ელექტრონული სწავლების განმსაზღვრელი ელემენტი, მთავარია ICT-ის გამოყენება სასწავლო პროცესში. სწავლებაში ICT-ის გამოყენების წილის მიხედვით განსაზღვრულია ელექტრონული სწავლების ტიპები და მათ შორისაა **მთლიანად ონლაინ სწავლებაც**, რაც უკვე გულისხმობს სავალდებულო დაშორებას სივრცეში ან დროში.

2020 წელს კოვიდ19-თან დაკავშირებულ OECD-ის პუბლიკაციაში განმარტებულია მხოლოდ ონლაინ და დისტანციური სწავლების ტერმინები. ამასთან, აღნიშნულია, რომ ელექტრონული, ონლაინ და დისტანციური სწავლა არაა სინონიმები.

*“**ონლაინ სწავლება** (ხშირად უწოდებენ ელექტრონულ სწავლებას) გულისხმობს სწავლების მხარდასაჭერად ციფრული მასალების გამოყენებას. აუცილებელი არაა, ის დისტანციურად განხორციელდეს. მისი გამოყენება შესაძლებელია ფიზიკურ საკლასო ოთახში სწავლების უფრო ტრადიციულ მეთოდებზე დამატებით, ამ შემთხვევაში მას უწოდებენ შერეულ სწავლებას.*

***დისტანციური სწავლება** გულისხმობს სწავლებას, რომელიც ხორციელდება საკლასო ოთახის ან სამუშაო ადგილისგან მოშორებით. ტრადიციულად, ის მოიცავდა საკორესპონდენტო/მიმოწერის კურსებს პირდაპირი კავშირის გარეშე, როდესაც სტუდენტი სასწავლებელს ფოსტის მეშვეობით უკავშირდებოდა. დღეს, ის ძირითადად მოიცავს ონლაინ განათლებას, სადაც მასწავლებელი ციფრულად ატარებს გაკვეთილებს და იძლევა დავალებებს.<sup>5</sup>”*

OECD-ის ზემოაღნიშნული ორი პუბლიკაციის განმარტებების საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს შემდეგი:

- ელექტრონული სწავლების ძირითადი მახასიათებელია ICT-ის გამოყენება სასწავლო პროცესში ანუ რა საშუალებებით ხორციელდება სწავლება. არა აქვს მნიშვნელობა რა ფორმით ხორციელდება ეს პროცესი: პირისპირ, შერეული თუ დისტანციური ფორმით.

<sup>4</sup> OECD (December 2005) Policy brief. E-learning in Tertiary Education. გვ.2 <http://www.oecd.org/education/ceri/35991871.pdf>

<sup>5</sup> OECD (2020) The potential of Online Learning for adults: Early lessons from the COVID-19 crisis. p.5 [https://read.oecd-ilibrary.org/view/?ref=135\\_135358-ool6fisocq&title=The-potential-of-Online-Learning-for-adults-Early-lessons-from-the-COVID-19-crisis](https://read.oecd-ilibrary.org/view/?ref=135_135358-ool6fisocq&title=The-potential-of-Online-Learning-for-adults-Early-lessons-from-the-COVID-19-crisis)

- დისტანციური სწავლების ძირითადი მახასიათებელია სასწავლო პროცესში მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის სივრცეში დაშორება. ამასთან, იქ სადაც ინტერნეტი ფართოდაა ხელმისაწვდომი, ონლაინ სწავლება გახდა დისტანციური განათლების განხორციელების მნიშვნელოვანი ფორმა.
- აშკარაა განსხვავება ელექტრონულ სწავლებასა და დისტანციურ სწავლებას შორის. პირველი მიუთითებს სწავლებაში ICT-ს გამოყენებაზე და მეორე კი მასწავლებლისა და სტუდენტის სივრცეში დაშორებაზე, თუმცა მათ აქვთ გადაკვეთის საერთო წერტილი - ესაა ინტერნეტის მეშვეობით დისტანციურად განხორციელებული სწავლება ანუ ონლაინ სწავლება. ელექტრონული, დისტანციური და ონლაინ სწავლების ტერმინები ურთიერთდაკავშირებულია, მაგრამ არაა სინონიმები.
- 2020 წლის პუბლიკაციაში მოცემული ონლაინ სწავლების დეფინიციაში შერეული სწავლების ტერმინის გამოყენებით ორივე ტერმინი ბუნდოვანი ხდება. ესაა სწავლება-სწავლის ორი განსხვავებული ფორმა და უმჯობესია ამ ორი ტერმინის ცალ-ცალკე განმარტება.
- 2020 წლის განმარტებებში შემოდის უფრო თანამედროვე ტერმინი - ციფრული. ასევე 2005 წლეს გამოყენებული ტერმინი “mixed mode”, 2020 წელს ჩანაცვლებულია უფრო ფართოდ გამოყენებული ტერმინით “blended learning” (ქართულად ორივე ითარგმნება, როგორც “შერეული სწავლება”).

### 1.1.2. იუნესკო

იუნესკოს ეგიდით გამოცემულ პუბლიკაციაში<sup>6</sup> დისტანციური, ონლაინ და შერეული განათლების განმარტებები საგანმანათლებლო პროგრამაში ონლაინ სწავლების პროცენტუეც კი მიუთითებს:

*“დისტანციური განათლება არის განათლების იმ ფორმის ზოგადი ტერმინი, სადაც სტუდენტი და მასწავლებელი დროსა და სივრცეშია დაშორებული. იგი მოიცავს ონლაინ განათლებას (შინაარსის  $\geq 80\%$  გადაიცემა ონლაინ/ინტერნეტით) და შერეულ (blended) განათლებას (შინაარსის 30-79% გადაიცემა ონლაინ), ასევე განათლების იმ ფორმას, რომელიც იყენებს ფოსტას ბეჭდური მასალების გასაგზავნად ან/და სხვა ინსტრუმენტებს დისტანციის დასაძლევად”.*

*“ონლაინ განათლება - მთლიანად შინაარსის ან მისი უმეტესი ნაწილის ( $\geq 80\%$ ) გადაცემა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტის მეშვეობით. ონლაინ განათლება არაა დისტანციური განათლების სინონიმური, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ განვითარებულ ქვეყანაში, ინტერნეტის ფართო ხელმისაწვდომობის პირობებში ის არის დისტანციური განათლების ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმა.”*

<sup>6</sup> A. Carlsen, C. Holmberg, C. Neghina, A. Owusu-Boampong (2016) Closing the Gap. Opportunities for distance education to benefit adult learners in higher education Opportunities for distance education to benefit adult learners in higher education. UNESCO Institute for Lifelong Learning. გვ.105. <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000243264>



*“შერეული განათლება (Blended education) - კურსის ერთეული ან პროგრამა, რომელიც ერთმანეთთან აერთიანებს სწავლების ონლაინ და პირისპირ გადაცემას. შინაარსის მნიშვნელოვანი ნაწილის (30-79%) გადაცემა ხდება ონლაინ”.*

ზემოაღნიშნული განმარტებები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული და ინტერპრეტაციის საშუალებას არ იძლევა. მაგალითად,

- ონლაინ განათლების დეფინიციში პირდაპირაა აღნიშნული, რომ დისტანციურად განხორციელების მიუხედავად ონლაინ განათლება არაა დისტანციური განათლების სინონიმი. ის არის დისტანციური განათლების ფართოდ გავრცელებული ფორმა.
- ონლაინ და შერეული სწავლების ფორმები ერთმანეთისგან ცალსახადაა გამიჯნული ტრადიციული და ონლაინ სწავლების ფორმების თანაფარდობით.

მკაფიოდ ჩამოყალიბებული დეფინიციები მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ორგანიზების, დაფინანსების საკითხებისა თუ ხარისხის უზრუნველყოფისათვის. აღსანიშნავია, რომ ეს თანაფარდობები ისეა განსაზღვრული, რომ პროგრამებს მოქნილობის საშუალებას აძლევს.

### **1.1.3. ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელი (ENQA)**

უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში საყურადღებოა ENQA-ს ელექტრონული სწავლების სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული დოკუმენტი “Considerations for quality assurance of e-learning provision Report from the ENQA Working Group VIII on quality assurance and e-learning.”<sup>8</sup> აღსანიშნავია, რომ ელექტრონული სწავლების სპეციალური სამუშაო ჯგუფი დოკუმენტში არ განმარტავს სათაურში გამოტანილ ტერმინს “ელექტრონული სწავლება”. პუბლიკაციის მეორე განყოფილებაში, რომლის სახელწოდებაცაა “ელექტრონული სწავლების ტერმინოლოგია,” აღნიშნულია შემდეგი: “ელექტრონული სწავლების დეფინიცია და მისი მახასიათებლები შეიძლება განსხვავდებოდეს ქვეყნების მიხედვით. საერთო გაგების გაზიარების მიზნით აუცილებელია ელექტრონული სწავლების იმ ტერმინებისა და საგანმანათლებლო მეთოდების განმარტება, რომლებიც რელევანტურია ამ დოკუმენტისათვის”<sup>9</sup>.

ამდენად, ENQA-ს პუბლიკაციის მიხედვით, ქვემოთ მოცემული ტერმინები არის ელექტრონული სწავლების ტერმინები:

*“დისტანციური განათლების კურსები. დისტანციური განათლების კურსი არის ის, სადაც სწავლება არ ტარდება კამპუსში (უსდ-ს შენობაში) - სწავლება ხორციელდება დისტანციურად. დისტანციური სწავლების კურსებში შეიძლება მიწოდების*

<sup>7</sup> Ibid. გვ.104

<sup>8</sup> ENQA (2018). Considerations for quality assurance of e-learning provision Report from the ENQA Working Group VIII on quality assurance and e-learning  
<https://enqa.eu/indirme/Considerations%20for%20QA%20of%20e-learning%20provision.pdf>

<sup>9</sup> Ibid. გვ.4

(სწავლების განხორციელების) სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, როგორცაა ვიდეო / აუდიო კონფერენცია და ისეთი მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია ინტერნეტზე ან ბეჭდვით საშუალებებზე.

**ონლაინ კურსები.** დისტანციური განათლების ფორმა, სადაც ინტერნეტი არის სწავლების განხორციელების ძირითადი მექანიზმი. სწავლება შეიძლება განხორციელდეს სინქრონულად ან ასინქრონულად. სწავლება მთლიანად ხორციელდება დისტანციურად.

- **სინქრონული ონლაინ კურსები.** კურსები, სადაც სტუდენტები და მასწავლებელი ერთდროულად ლებულობენ მონაწილეობას, მაგრამ იმყოფებიან დაწესებულების კამპუსისგან განსხვავებულ ლოკაციაზე/ადგილზე. ამ კურსების ჩატარება შესაძლებელია ვიდეო კონფერენციით, ვებ კონფერენციით, აუდიო კონფერენციით და ა.შ.
- **ასინქრონული კურსები.** კურსები, სადაც სტუდენტებს არ მოეთხოვებათ სასწავლო სესიაში მონაწილეობა იმავე დროს, რა დროსაც მასწავლებელი მონაწილეობს. ეს შეიძლება იყოს ბეჭდურ საშუალებებზე დაფუძნებული კურსი ან ონლაინ კურსი, რომელიც მაგალითად იყენებს სწავლის მართვის სისტემას.

**ონლაინ პროგრამები.** სრულად საიმედო/სანდო პროგრამა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მთლიანად ონლაინ კურსების გავლით, კამპუსში სწავლების გარეშე. პროგრამა შესაძლებელია განხორციელდეს სინქრონულად ან ასინქრონულად.”

**შერეული/ჰიბრიდული კურსები.** ესაა კურსები, რომელიც შემუშავებულია ონლაინ და პირისპირ სწავლების კომინირებისათვის ნებისმიერი კომბინაციით”

დისტანციური განათლების, ონლაინ პროგრამებისა და შერეული/ჰიბრიდული კურსების განმარტებები ძირითადად სხვა ორგანიზაციებისა თუ ქვეყნების შესაბამისი განმარტებების მსგავსია.

ENQA-ს პუბლიკაცია ელექტრონულ სწავლებაში აერთიანებს ყველა ჩამოთვლილ ტერმინს მათ შორის დისტანციური განათლების კურსს, რომელიც დეფინიციის მიხედვით შეიძლება მოიცავდეს სწავლების ბეჭდურ საშუალებებზე დაფუძნებულ (print-based) მეთოდს. ელექტრონული სწავლების ყველა სხვა განმარტება მთავარ მახასიათებლად ICT-ს გამოყენებას ასახელებს (მაგ., იხ. OECD, EUA). ENQA-ს პუბლიკაციაშია აღნიშნული ტერმინები ჩამოყალიბებულია ტონი ბეიტსის მიერ, რომლის პერსონალურ საიტზე მოცემულია ელექტრონული სწავლების შემდეგი განმარტება<sup>10</sup>:

“კომპიუტერსა და ინტერნეტზე დაფუძნებული ყველა ის საქმიანობა, რაც ხელს უწყობს სწავლებასა და სწავლას - როგორც კამპუსში ასევე დისტანციაზე.

<sup>10</sup> Online learning and distance education resources. <https://www.tonybates.ca/2008/07/07/what-is-distance-education/>

გასათვალისწინებელია, რომ ეს მოიცავს ინფორმაციისა და კომუნიკაციების ტექნოლოგიების ადმინისტრაციულ და აკადემიურ გამოყენებას, რაც ხელს უწყობს სწავლას, ასეთია კომპიუტერული პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს სტუდენტთა მონაცემთა ბაზებსა და სწავლებას შორის, მაგალითად, კლასის სიები, ელექტრონული ფოსტის მისამართები, სტატისტიკა (სწავლების ანალიზის დოკუმენტები) და ა.შ.

ამდენად, იგივე ავტორის მიერ, რომელმაც ჩამოაყალიბა ENQA-ს ტერმინები, ელექტრონული სწავლება განმარტებულია ფართოდ, უფრო მომცველ ტერმინად, რაც შინაარსობრივად შესაბამისობაშია OECD-ისა და EUA-ს განმარტებებთან.

#### 1.1.4. ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია (EUA)

ENQA-სგან განსხვავებით EUA-ს მიერ ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით განხორციელებულ კვლევის ანგარიშში<sup>11</sup> მოცემულია ელექტრონული სწავლების დეფინიცია, თუმცა არაა განმარტებული დისტანციური განათლების ტერმინი.

*“ელექტრონული სწავლება - წინამდებარე კვლევისთვის ტერმინი ელექტრონული სწავლება არის ზოგადი სახელწოდება და აღწერს ყველა იმ სწავლებას, რომელიც სწავლებისა და სწავლის ხელშესაწყობად იყენებს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიებს (ICT). ამდენად, აქ მისი მნიშვნელობა არის ICT – ზე დაფუძნებული სწავლების სინონიმი.*

*ეს ტერმინი შეიძლება გულისხმობდეს განსხვავებული ტექნოლოგიებისა და ინსტრუმენტების გამოყენებას სხვადასხვა კონტექსტში სწავლის ხელშესაწყობად, რაც მოიცავს პირისპირ და დისტანციურ სწავლებას, ცალ-ცალკე ან კომბინირებულად, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ელექტრონულ სწავლებას, ჩვეულებრივ შერეულ სწავლებას უწოდებენ.*

*შერეული სწავლება- პედაგოგიური მოდელი, რომელიც ახდენს პირისპირ, აუდიტორიაში სწავლებისა და ინოვაციური ICT-ს გამოყენების კომბინირებას.*

*ონლაინ სწავლება - განათლების გადაცემის ფორმა, რომელის დროსაც სწავლება ხორციელდება ძირითადად ინტერნეტის მეშვეობით. ონლაინ სწავლება ემსახურება მათ, ვინც გეოგრაფიულად დაშორებულია და არ აქვთ წვდომა ტრადიციულ სწავლებასთან. ამდენად, იგი მოიცავს "დისტანციურ სწავლებას". ამასთან, მხოლოდ დისტანციური სწავლების სტუდენტები არ სარგებლობენ ონლაინ სწავლებით, რომელიც ასევე არის ელექტრონული სწავლების ნაწილი ძირითადად კამპუსზე დაფუძნებულ სასწავლო პროგრამებშიც. ასეთ შემთხვევებში, ის შეიძლება მოხსენიებულ იქნეს, როგორც შერეული სწავლება”.*

<sup>11</sup> EUA (2014.) E-Learning in European higher education institutions. გვ.17

<https://eua.eu/downloads/publications/e-learning%20in%20european%20higher%20education%20institutions%20results%20of%20a%20mapping%20survey.pdf>

კვლევა არ განმარტავს დისტანციურ სწავლებას და შენიშვნის სახით მიუთითებს შემდეგს: “ჩვენ თავიდან ავიცილეთ ”დისტანციური სწავლების“ კონცეფცია, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება დაეფუძნოს განსხვავებულ საშუალებებსა და პროცედურებს, მათ შორის სასწავლო მასალების ფოსტით გაგზავნას, ამჟამად ძირითადად ონლაინ ხორციელდება.”<sup>12</sup> ამდენად, EUA უმაღლეს განათლებაში დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით პირდაპირ ონლაინ სწავლების ფორმაზე მიუთითებს, რაც ევროპაში ინტერნეტის ფართოდ ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე არაა გასაკვირი.

EUA-ს 2020 წელს დაგეგმილი კვლევის, “ციფრულად გაძლიერებული/გაუმჯობესებული სწავლება უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში,” კითხვარი, რომელიც არის 2014 წლის კვლევის “ელექტრონული სწავლება უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში”, შემდგომი გაგრძელება, ელექტრონული სწავლების მაგივრად იყენებს ტერმინს “ციფრულად გაუმჯობესებული/გაძლიერებული სწავლება” (Digitally enhanced learning).

*“ციფრულად გაუმჯობესებული/გაძლიერებული სწავლება არის სწავლების ნებისმიერი ტიპი, რომელსაც თან ახლავს ტექნოლოგია ან რომელიც მხარდაჭერილია ტექნოლოგიით”<sup>13</sup>.*

შენაარსობრივად 2020 წლის ტერმინი და 2014 წლის ტერმინი “ელექტრონული სწავლება” ერთი და იგივეა. ორივე არის ფართო, ყოვლისმომცველი და მათი მახასიათებელია ტექნოლოგიის გამოყენება სწავლების ხელშესაწყობად. მნიშვნელობა არა აქვს რა ფორმით ხორციელდება სწავლება.

EUA-ს მიერ, ერთი და იგივე მიზნით, 6 წლის დაშორებით ჩატარებული ორი კვლევის ლექსიკონებს თუ შევადარებთ ერთმანეთს, ცხადად დავინახავთ, თუ რამდენად სწრაფად შეიცვალა ტერმინოლოგია უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში. 2014 წლის დოკუმენტი ზემოაღნიშნული ტერმინების გარდა განმარტავს მხოლოდ MOOCs-ს. 2020 წლის კითხვარის ლექსიკონში კი გვხვდება შემდეგი ტერმინები: გაციფროვნება, ციფრულად გაძლიერებული სწავლება, ციფრული შეფასება, ვირტუალური მობილობა, შერეული სწავლება, ვირტუალური რეალობა, დიდი მონაცემები (Big data), ხელოვნური ინტელექტი, მანქანური სწავლება, და სხვა.

### 1.1.5. სწავლების თანამეგობრობა (Commonwealth of Learning (CoL))

“სწავლების თანამეგობრობა” (CoL) არის თანამეგობრობის (The Commonwealth) ქვეყნების მთავრობათაშორისი გაერთიანება და ერთადერთი მთავრობათაშორისი ორგანიზაცია, რომელიც 1987 წელს შეიქმნა სპეციალურად ღია და დისტანციურ განათლების ხელშეწყობის მიზნით. ორგანიზაციამ 2020 წლის მაისში განაახლა ღია და დისტანციური განათლების

<sup>12</sup> Ibid. გვ.18

<sup>13</sup> EUA (2020) Survey on digitally enhanced learning in European higher education institutions.  
<https://www.eua.eu/downloads/content/survey.pdf>

ძირითადი დეფინიციები<sup>14</sup>, საიდანაც ციტირებულია მხოლოდ ამ დოკუმენტისთვის საჭირო რამდენიმე ტერმინი.

*“ელექტრონული სწავლება არის გამაერთიანებელი ტერმინი, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი ციფრული მოწყობილობის ან მედიის (მულტიმედიის) სწავლებისა და სწავლისათვის გამოყენებას, განსაკუთრებით შინაარსის გადაცემის ან წვდომისათვის. ამდენად, ელექტრონული სწავლება შეიძლება განხორციელდეს ყოველგვარი ქსელის ან კავშირის გარეშე. ციფრული მოწყობილობა, რომელსაც მოსწავლე იყენებს მასალებზე წვდომისთვის, აუცილებელი არაა, რომ დაკავშირებული იყოს ციფრულ ქსელთან, არც ლოკალურ ქსელთან და არც ინტერნეტთან (ან თუნდაც მობილური ტელეფონის ქსელთან, თუ ტაბლეტი გამოიყენება, ტერმინალად ან წვდომის მოწყობილობად).*

*შერეული სწავლება მოიცავს ონლაინ და პირისპირ სწავლების კომბინაციას.*

*დისტანციური განათლება არის სწავლებისა და სწავლის პროცესი, რომელიც საგანმანათლებლო ინტერაქციის უმეტეს შემთხვევებში ხასიათდება დროსა და/ან სივრცეში მასწავლებლისა და მოსწავლის განცალკევებით და ტექნოლოგიის მეშვეობით სასწავლო შინაარსის მიწოდებით; ისევე როგორც მოსწავლის-მასწავლებელთან და მოსწავლის-მოსწავლესთან პირისპირ ურთიერთქმედების შესაძლებლობით და ორმხრივი დიდაქტიკური კომუნიკაციის უზრუნველყოფით. დისტანცია არის ტრანსაქციის დისტანცია და არა ფიზიკური დისტანცია. ეს არის კონცეპტუალური კონსტრუქცია, რომელსაც აქვს ორი ძირითადი განზომილება: სტრუქტურა და დიალოგი. პროგრამები, რომლებსაც აქვთ მეტი სტრუქტურა და ნაკლები დიალოგი, განიხილება უფრო მეტად დისტანციურად.*

*ონლაინ სწავლება არის ელექტრონული სწავლება ციფრული ქსელის სავალდებულო გამოყენებით, რომელიც სტუდენტს სჭირდება თუნდაც სასწავლო მასალებისა და სერვისების ნაწილზე წვდომისათვის. ონლაინ სწავლება გულისხმობს ქსელის საშუალებით სწავლებასა და სწავლას, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს გაზარდოს ინტერაქცია შინაარსთან, მასწავლებლებთან და სხვა მოსწავლეებთან”.*

ელექტრონული და დისტანციური სწავლების განსხვავება CoL-ის მიხედვითაც აშკარაა. ისევე როგორც OECD-ს განმარტებებში აქაც მკაფიოდ ჩანს, რომ ელექტრონული სწავლება გულისხმობს ტექნოლოგიის გამოყენებას სწავლების პროცესში, ხოლო დისტანციური სწავლება კი უპირველეს ყოვლისა გულისხმობს დისტანციას სწავლების განხორციელებისას.

უნდა აღინიშნოს რომ CoL-ის წევრები არიან ისეთი განვითარებული ქვეყნები, როგორცაა დიდი ბრიტანეთი, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია. შესაბამისად აღნიშნული ტერმინები გამოიყენება ამ ქვეყნებშიც.

<sup>14</sup> COL. (2020) Key Terms & Definition

[http://oasis.col.org/bitstream/handle/11599/3558/2020\\_COL\\_ODL\\_KeyTerms\\_Definitions.pdf?sequence=1&isAllowed=y](http://oasis.col.org/bitstream/handle/11599/3558/2020_COL_ODL_KeyTerms_Definitions.pdf?sequence=1&isAllowed=y)

## 1.2. სხვადასხვა ქვეყნის რეგულაციები

### 1.2.1 აშშ

#### ა) ფედერალური კანონის განმარტება და განათლების დეპარტამენტის რეგულაცია

აშშ-ში ფედერაციის დონეზე განმარტებულია დისტანციური განათლების ტერმინი “უმაღლესი განათლების შესაძლებლობის აქტით”<sup>15</sup> (იხ. დანართი 1) და ფედერალური რეგულაციის კოდექსით<sup>16</sup>. ამ უკანასკნელში აშშ-ს განათლების დეპარტამენტის მოთხოვნის საფუძველზე 2020 წლის 2 სექტემბერს<sup>17</sup> შევიდა ცვლილები დისტანციური განათლების დეფინიციის, რომელიც ძალაში შევა 2021 წლის 1 ივლისიდან. ქვემოთ მოცემულია განახლებული დეფინიცია:

*დისტანციური განათლება*

*(1) “განათლება, რომელიც იყენებს ამ დეფინიციის (2)(i) –(iv) პარაგრაფებში აღწერილ ერთ ან რამდენიმე ტექნოლოგიას, რათა განახორციელოს მასწავლებლის ან მასწავლებლებისგან დაშორებით მყოფი სტუდენტების სწავლება და ხელი შეუწყოს სტუდენტებსა და მასწავლებლებს ან მასწავლებლებს შორის რეგულარულ და არსებით, სინქრონულ ან ასინქრონულ, ინტერაქციას.*

*(2) ტექნოლოგიები რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია დისტანციური განათლებისათვის მოიცავს შემდეგს:*

*(i) ინტერნეტს;*

*(ii) ცალმხრივ ან ორმხრივ ტრანსმისიას ღია მაუწყებლობის, დახურული გადაცემის, საკაბელო, მიკროტალღოვან, ბოჭკოვანი ოპტიკის, სატელიტურ ან უკაბელო კომუნიკაციის მოწყობილობების მეშვეობით;*

*(iii) აუდიო კონფერენციას ან*

*(iv) სხვა მედიას, რომელიც კურსში გამოიყენება (2) (i) - (iii) პუნქტებში ჩამოთვლილ ნებისმიერ ტექნოლოგიებთან ერთად.*

*(3) ამ განმარტების მიზნებისათვის, მასწავლებელი (ინსტრუქტორი) არის პირი, რომელიც პასუხისმგებელია კურსის შინაარსის გადაცემაზე და რომელიც აკმაყოფილებს იმ კვალიფიკაციას, რომელიც მოთხოვნილია დაწესებულების მთავარი დირექტორის სააგენტოს მიერ.*

<sup>15</sup> Higher education opportunity act. 2008. SEC. 103. ADDITIONAL DEFINITIONS.

<https://www2.ed.gov/policy/highered/leg/hea08/index.html>

<sup>16</sup> Code of Federal Regulations. Title 34. Part 600. Section 600.2

<https://www.ecfr.gov/cgi-bin/text-idx?node=pt34.3.600&rgn=div5#sp34.3.600.a>

<sup>17</sup> Federal Register /Vol. 85, No. 171 /Wednesday, September 2, 2020 /Rules and Regulations. გვ.67

<https://www.govinfo.gov/content/pkg/FR-2020-09-02/pdf/2020-19150.pdf>

<https://www.chea.org/us-department-education-issues-final-distance-education-and-innovation-regulations>

(4) ამ განმარტების მიზნებისათვის, არსებითი ინტერაქცია არის სტუდენტების ჩართვა განსახილველ შინაარსსთან შესაბამის სწავლება, სწავლასა და შეფასებაში და ასევე მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან მინიმუმ ორს:

(i) პირდაპირ ინსტრუქცია/სწავლება;

(ii) სტუდენტის სამუშაოს შეფასება ან უკუკავშირის განხორციელება;

(iii) ინფორმაციის მიწოდება ან კითხვებზე პასუხის გაცემა კურსის შინაარსზე ან კომპეტენციაზე;

(iv) კურსის შინაარსთან ან კომპეტენციასთან დაკავშირებით ჯგუფის დისკუსიის ხელშეწყობა; ან

(v) სხვა სასწავლო საქმიანობა, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების ან პროგრამის აკრედიტაციის სააგენტოს მიერ.

(5) სტუდენტის მიერ კურსის დასრულებამდე დაწესებულება უზრუნველყოფს რეგულარულ ინტერაქციას სტუდენტსა და მასწავლებელს ან მასწავლებლებს შორის:

(i) სტუდენტთან არსებითი ინტერაქციის შესაძლებლობის უზრუნველყოფა პროგნოზირებად და დაგეგმილ საფუძველზე, რაც შეესაბამება კურსის ან კომპეტენციის შინაარსსა და ხანგრძლივობას; და

(ii) სტუდენტის აკადემიური ჩართულობისა და წარმატების მონიტორინგი და ინსტრუქტორის პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა სტუდენტთან არსებით ინტერაქციაში სასწრაფოდ და პროაქტიულად ჩართვისათვის, თუ ეს საჭიროა ამ მონიტორინგის ან სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე”

ეს განმარტება დისტანციური განათლების ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი განმარტებაა. უპირველეს ყოვლისა, ის მიუთითებს დისტანციური სწავლების ძირითად მახასიათებელზე: სტუდენტისა და მასწავლებლის სივრცეში დაშორებაზე. სხვა განმარტებებისგან განსხვავებით დეფინიცია აღნიშნავს რეგულარული და არსებითი ინტერაქციის აუცილებლობას. 2020 წელს დისტანციური განათლების განმარტებაში შეტანილი ცვლილებებიდან და დამატებებიდან საყურადღებოა ის ფაქტი, რომ განმარტებაში შევიდა ცვლილებები და დამატებები, მათ შორის განიმარტა, თუ რას ნიშნავს “რეგულარული და არსებითი ინტერაქცია,” რაც მანამდე გაუგებრობას იწვევდა.<sup>18</sup> დეფინიცია, რომელსაც რეგულაციის ფუნქცია აქვს მკაფიო, ცალსახა ჩამოყალიბებას მოითხოვს და ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას არ უნდა იძლეოდეს.

ცვლილება შევიდა ასევე მე-2 პარაგრაფის iv პუნქტში, სადაც არსებული საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალის მაგივრად ჩაიწერება “სხვა მედია”, ვინაიდან ტექნოლოგიის განვითარების ფონზე არსებული ჩანაწერი საკმაოდ მოძველებული იყო (შედარებისათვის იხ. დანართი 1).

**ბ) სახელმწიფო ავტორიზაციის ნაცვალგების პრინციპზე დაფუძნებული შეთანხმების ეროვნული საბჭო - NC-SARA**

აშშ-ს სახელმწიფო ავტორიზაციის ნაცვალგების პრინციპზე დაფუძნებული შეთანხმების ეროვნული საბჭო - NC-SARA (National council for State Authorization reciprocity agreements) - ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე ახორციელებს საშუალოს შემდგომი

<sup>18</sup> Federal Register / Vol. 85, No. 64 / Thursday, April 2, 2020 / Proposed Rules. გვ.10  
<https://www.govinfo.gov/content/pkg/FR-2020-04-02/pdf/2020-05700.pdf>

დისტანციური სწავლების სახელმწიფო ზედამხედველობას. NC-SARA პოლიტიკისა და სტანდარტების დოკუმენტი<sup>19</sup> განმარტებულია დისტანციური და ჰიბრიდული განათლება:

*“დისტანციური განათლება ნიშნავს ნებისმიერი საშუალებით შეთავაზებულ სწავლებას, როდესაც სტუდენტი და აკადემიური პერსონალი განსხვავებულ ფიზიკურ ლოკაციაზე იმყოფებიან. ის მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ ონლაინ, ინტერაქტიული ვიდეო ან საკორესპონდენტო კურსებით ან პროგრამებით”*

*“ჰიბრიდული ნიშნავს საგანმანათლებლო პროგრამას ან კურსს, რომელიც მოიცავს ორივეს, როგორც პირისპირ ასევე დისტანციურ განათლებას. ის ცნობილია ასევე ტერმინით “შერეული” და ასევე სხვა ტერმინებით.”*

ამდენად, დისტანციური განათლების განმარტებით ონლაინ განათლება არის დისტანციური განათლების ერთ-ერთი ფორმა და არა მისი სინონიმი. ხოლო ჰიბრიდული და შერეული სინონიმებად გამოიყენება.

### გ) აშშ-ს დისტანციური განათლების აკრედიტაციის კომისია (DEAC)

DEAC-ი აკრედიტაციის სახელმძღვანელოში<sup>20</sup> დისტანციურ განათლების განმარტებისათვის იყენებს კანონის განმარტებას (დანართი 1). ასევე განმარტავს ტერმინს “ჰიბრიდული კურსი”, რაც არის: *“სწავლება რომელიც ახდენს პირისპირ აქტივობებისა და დისტანციური განათლების კომბინირებას.”*

### გ) განმარტებები აშშ-ს რამდენიმე შტატის რეგულაციებიდან

#### გ.ა) ნიუ ჯერსის ადმინისტრაციული კოდექსი

ნიუ ჯერსის ადმინისტრაციული კოდექსი<sup>21</sup> განმარტავს სწავლების ფორმებს:

*“განათლების გადაცემის ფორმა ნიშნავს ფორმალურ საგანმანათლებლო პროცესს, რომელიც მოიცავს ან შერეულ(ჰიბრიდულ) სწავლებას, ან დისტანციურ სწავლებას ან ტრადიციულ პირისპირ წავლებას.*

*დისტანციური სწავლება ნიშნავს ფორმალურ საგანმანათლებლო პროცესს, რომელიც ხორციელდება მაშინ, როდესაც სტუდენტი და მასწავლებელი ერთსა და იმავე ფიზიკურ ლოკაციაზე ერთსა და იმავე დროს არ იმყოფებიან.*

<sup>19</sup> NC - State Authorization Reciprocity Agreements Policies and Standards

[https://www.nc-sara.org/sites/default/files/files/2019-08/NC-SARA\\_Policies\\_Standards\\_May2016.pdf](https://www.nc-sara.org/sites/default/files/files/2019-08/NC-SARA_Policies_Standards_May2016.pdf)

<sup>20</sup> DEAC (July 1, 2020) Accreditation Handbook. გვ.158

[https://www.deac.org/UploadedDocuments/Handbook/DEAC\\_Accreditation\\_Handbook.pdf](https://www.deac.org/UploadedDocuments/Handbook/DEAC_Accreditation_Handbook.pdf)

<sup>21</sup> New Jersey Administrative Code § 9A:1-1.2 (Lexis Advance through the New Jersey Register, Vol. 52 No. 17, September 8, 2020)

<https://advance.lexis.com/container?config=00JAA5OTY5MTdjZi1lMzYxLTOxNTEtOWFkNi0xMmU5ZTViODQ2M2MKA FBvZENhdGFsb2coFSYEAfv22IKqMT9DIHrf&crd=bbbf957-e924-4d47-9263-23b5c9dd10b2&prid=9fa8a9cd-9e5b-4209-9953-38b4ddf74597>



*შერეული (ჰიბრიდული) სწავლება ნიშნავს ფორმალურ საგანმანათლებლო პროცესს, რომელშიც სწავლების ნაწილი ხორციელდება მაშინ, როდესაც სტუდენტი და მასწავლებელი ერთსა და იმავე ფიზიკურ ლოკაციაზე ერთსა და იმავე დროს იმყოფებიან, მაგრამ სწავლების ნაწილი ხორციელდება დისტანციური სწავლებით.*

*ტრადიციული, პირისპირ სწავლება ნიშნავს ფორმალურ საგანმანათლებლო პროცესს, რომელშიც მთელი სასწავლო პროცესი ხორციელდება აუდიტორიაში ან აუდიტორიის გარეთ მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ.”*

ადმინისტრაციული კოდექსი ცალსახად განსაზღვრავს სწავლების ფორმებს: შერეული, დისტანციური და ტრადიციული. ამ ტერმინების დეფინიციებში მოცემულია სწავლების ფორმის მხოლოდ არსებითი მახასიათებლები.

ფედერალური რეგულაციისა და აკრედიტაციის ორგანიზაციების განმარტებებისგან განსხვავებით ნიუ ჯერსის ადმინისტრაციულ კოდექსში მოცემულ დეფინიციებში ხაზგასმულის ის ფაქტი, რომ სწავლება არის ფორმალური პროცესი.

## **გ.ბ) პენსილვანიის კოდექსი**

პენსილვანიის კოდექსი<sup>22</sup> განმარტავს დისტანციურ განათლებას და შერეულ განათლებას, რომლის აღნიშვნისათვის იყენებს ტერმინს -კომბინაცია.

*“კომბინირებული პროგრამა - პროგრამა, რომელიც სასწავლო შინაარსის გადასაცემად იყენებს როგორც დისტანციურ ასევე აუდიტორიაში სწავლებას.*

**დისტანციური განათლება** - რეზიდენტზე დაფუძნებული სწავლებისაგან განსხვავებული ფორმატით ოფიციალური საშუალოს შემდგომი დაწესებულების, დაწესებულებების კონსორციუმის ან საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების ან პროგრამის სერიის შეთავაზება, რომელიც ანიჭებს კრედიტებს ან გასცემს სერტიფიკატს, დიპლომს ან ხარისხს და რომელიც შეიძლება განხორციელდეს ქვემოთაღნიშნულიდან ერთ ან მეტი ფორმით:

- (i) კორესპონდენცია
- (ii) ტელევიზია
- (iii) ვიდეოკასეტები ან დისკები
- (iv) ფილმი
- (v) რადიო
- (vi) კომპიუტერი
- (vii) აუდიო-ვიდეო ფორმატზე აგებული მოწყობილობები.
- (viii) სხვა დამხმარე მოწყობილობები არსებული ან სამომავლო ტექნოლოგიის გამოყენებით.”

<sup>22</sup> Pennsylvania CODE TITLE 22 Subpart C. § 31.2. Definitions.

<https://www.pacodeandbulletin.gov/Display/pacode?file=/secure/pacode/data/022/chapter31/s31.2.html&d=reduce>

კოდექსი განმარტავს სწავლების მხოლოდ 2 ფორმას: დისტანციურს და შერეულს. ამასთან, შერეული სწავლების მაგივრად გამოყენებულია ტერმინი “კომბინირებული პროგრამა”. მისი დეფინიცია შეესაბამება შერეული/ჰიბრიდული სწავლების სხვა განმარტებებს. დისტანციური განათლების განმარტებიდან ჩანს, რომ ონლაინ/ინტერნეტით სწავლება არის დისტანციური განათლების ნაწილი.

კოდექსში მოცემული ტერმინები მკაფიოდაა განმარტებული უმაღლესი განათლების მიზნებისთვის:

- კომბინირებული პროგრამა არის აკადემიური ხარისხის პროგრამა;
- დისტანციური განათლების განმახორციელებელი არის ოფიციალურად აღიარებული დაწესებულება და სწავლება ხორციელდება აკადემიური ხარისხის ან კრედიტის მისაღებად.

### **გ.გ) სამხრეთ კაროლინა - უმაღლესი განათლების სამხრეთ კაროლინის კომისიის პოლიტიკისა და პროცედურების დოკუმენტი**

უმაღლესი განათლების სამხრეთ კაროლინის კომისიის პოლიტიკისა და პროცედურების დოკუმენტი <sup>23</sup> აკადემიურ პროგრამებთან დაკავშირებით განსახილველ ტერმინებთან დაკავშირებით იძლევა შემდეგ განმარტებებს:

*“დისტანციური განათლება არის მასწავლებლის მიერ პროგრამის განხორციელება იმ ადგილსა ან დროში, რომელიც განსხვავდება ინსტრუქციის მიღების ადგილისა ან დროისგან.*

*ონლაინ სწავლება გულისხმობს პროგრამას, რომელიც ისწავლება ტრადიციული, პირისპირ ფორმატისგან განსხვავებულ გარემოში. ამ შემთხვევაში მასწავლებელი სტუდენტებს ასწავლის სინქრონულად ან ასინქრონულად და ყველა მონაწილე ურთიერთქმედებს კომპიუტერული ქსელის გამოყენებით. ეს ასევე არის დისტანციური სწავლების ერთ-ერთი ფორმა.*

*შერეული სწავლება არის ორივეს, ტრადიციულისა და დისტანციური განათლების კომბინაცია, რომელშიც სწავლების ნახევარზე მეტი (50%) ხორციელდება დისტანციური სწავლების გზით.*

*ტრადიციული სწავლება გულისხმობს აკადემიური პერსონალის მიერ შეთავაზებულ სწავლებას, რომლებიც ფიზიკურად იმყოფებიან სტუდენტებთან იმავე ადგილზე და იმავე დროს.”*

---

<sup>23</sup> South Carolina Commission on Higher Education

POLICIES AND PROCEDURES FOR NEW ACADEMIC PROGRAMS, PROGRAM MODIFICATIONS, PROGRAM NOTIFICATIONS, PROGRAM TERMINATIONS, AND NEW CENTERS FOR SC PUBLIC COLLEGES AND UNIVERSITIES [https://www.che.sc.gov/CHE\\_Docs/academicaaffairs/2018\\_06\\_07\\_Policies\\_and\\_Procedures\\_for\\_Academic\\_Programs.pdf](https://www.che.sc.gov/CHE_Docs/academicaaffairs/2018_06_07_Policies_and_Procedures_for_Academic_Programs.pdf)

რეგულაციაში გაწერილია სწავლების ყველა ფორმა. დისტანციური განათლების განმარტებასთან ერთად მოცემულია ონლაინ სწავლების განმარტებაც, სადაც პირდაპირაა მითითებული, რომ ესაა დისტანციური სწავლების ფორმა.

შერეული სწავლების განმარტება იძლევა ტრადიციულისა და დისტანციური სწავლების თანაფარდობას. განმარტების მიხედვით სწავლების მინიმუმ 51% უნდა განხორციელდეს დისტანციურად, რომ სწავლება შერეულ სწავლებად ჩაითვალოს. შედარებისთვის: იუნესკოს პუბლიკაციაში მოცემული თანაფარდობით შერეული სწავლებისთვის საკმარისია პროგრამის მინიმუმ 30%-ის ონლაინ სწავლება.

### 1.2.2 გაერთიანებული სამეფო

გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (QAA) ლექსიკონი<sup>24</sup> განმარტავს მთელ რიგ ტერმინებს:

#### **“დისტანციური სწავლება**

*საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არ გულისხმობს პირისპირ კონტაქტს სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის. სამაგიეროდ დისტანციაზე სწავლისათვის იყენებს ისეთ ტექნოლოგიებს, როგორცაა ინტერნეტი, ინტრანეტები, სამაუწყებლო მედია, CD-ROM და ვიდეო, ან მიმოწერის/კორესპონდენციის ტრადიციული მეთოდი.*

#### **მოქნილი და განაწილებული სწავლება (Flexible and distributed learning)**

*პროგრამა ან მოდული, რომელიც სტუდენტისგან არ მოითხოვს ლექციაზე/სემინარზე ან ღონისძიებებზე დასწრებას კონკრეტულ დროსა და ადგილზე. აგრეთვე იხილეთ "დისტანციური სწავლება"*

**ელექტრონული სწავლება** - იხ. "ტექნოლოგიით გაუმჯობესებული/ გაძლიერებული" ან ტექნოლოგიის შესაძლებლობებზე დაფუძნებული სწავლება"

**ტექნოლოგიით გაუმჯობესებული/გაძლიერებული ან ტექნოლოგიის შესაძლებლობებზე დაფუძნებული სწავლება (ან ელექტრონული სწავლება) (Technology enhanced or enabled learning)**

*სწავლება რომელიც ხორციელდება ან მხარდაჭერილია ტექნოლოგიის გამოყენების მეშვეობით.*

#### **შერეული სწავლება**

*სწავლება, რომელიც ხორციელდება მთელი რიგი სხვადასხვა მეთოდით, როგორც წესი მოიცავს პირისპირ და ელექტრონულ სწავლებას (იხ. "ტექნოლოგიით გაძლიერებული" ან "ტექნოლოგიის შესაძლებლობებზე დაფუძნებული სწავლება").*

გაერთიანებული სამეფო იყენებს ზოგიერთ ისეთ ტერმინს, რომელიც არ გვხვდება აშშ-ში ან საერთაშორისო ორგანიზაციების (CoL-ის გარდა) პუბლიკაციებში. მაგ.,

<sup>24</sup> QAA glossary (15 Juny, 2018). [https://www.qaa.ac.uk/docs/qaa/guidance/qaa-glossary.pdf?sfvrsn=70cbfc81\\_2](https://www.qaa.ac.uk/docs/qaa/guidance/qaa-glossary.pdf?sfvrsn=70cbfc81_2)

- ტექნოლოგიით გაძლიერებული/გაუმჯობესებული ან ტექნოლოგიის შესაძლებლობებზე დაფუძნებული სწავლება), რაც არის ელექტრონული სწავლების სინონიმი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტერმინს არსებითად შეესაბამება EUA-ს 2020 წლის კვლევის კითხვარში განმარტებული ახალი ტერმინი “ციფრულად გაუმჯობესებული/გაძლიერებული სწავლება (Digitally enhanced learning).
- “მოქნილი და განაწილებული სწავლება,” რომელიც მკაფიოდ მიანიშნებს მასწავლებლისა და სტუდენტის დროსა და სივრცეში გათიშულობაზე.

“დისტანციური განათლებისა” და “მოქნილი და განაწილებული სწავლების” ტერმინთა განმარტებები ერთმანეთისგან განსხვავდება მხოლოდ იმ ფაქტით, რომ დისტანციური განათლების დეფინიციაში ჩამოთვლილია ის საშუალებები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია სასწავლო პროცესში. ამასთან, “მოქნილი და განაწილებული სწავლების” არ გამოირცხავს თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებას. პირიქით, ეს განმარტება უფრო ფართოა და არ იზღუდება რაიმე სახის ჩამონათვალით. ეს ტერმინი მოიაზრებს MOOCs - მასიურ ღია, ონლაინ კურსებსაც.

ელექტრონულ სწავლების ტერმინი განმარტებულია მეორე ტერმინით და ნიშნავს სწავლებას, რომელიც ხორციელდება ტექნოლოგიის მეშვეობით. ამასთან, შერეული სწავლების ტერმინის განმარტებისას ელექტრონული სწავლება გამოყენებულია პირისპირ სწავლების საპირისპირო ფორმად ანუ დავიწროვებულია მისი გაგება დისტანციურად განხორციელებულ ელექტრონული სწავლებაზე.

კოვიდ19-ის გამო და ტერმინების საერთო გაგების ხელშეწყობის მიზნით 2020 მარტში სააგენტომ (QAA) შეიმუშავა ახალი სახელმძღვანელო “Building a Taxonomy for Digital Learning,”<sup>25</sup> სადაც ელექტრონული სწავლების ტერმინი არ გამოიყენება, თუმცა გვხვდება მისი სინონიმი ტერმინი - ტექნოლოგიით გაუმჯობესებული/გაძლიერებული სწავლება (Technology enhanced learning) სახეცვლილი დეფინიციით:

*“ტექნოლოგიით გაძლიერებული/გაუმჯობესებული სწავლება არის ზოგადი ტერმინი, რომელიც აღწერს ტექნოლოგიის გამოყენებას სწავლის, სწავლებისა და შეფასების ხელშესაწყობად და სტუდენტის გამოცდილების გასაუმჯობესებლად. ტექნოლოგიით გაუმჯობესებულ/გაძლიერებულ სწავლებას შეუძლია ხელი შეუწყოს სწავლებას და სწავლას როგორც ადგილზე, ისე დაშორებით. ტერმინი ინტერნეტით გაძლიერებული/გაუმჯობესებული სწავლება ზოგჯერ ტექნოლოგიით გაძლიერებული სწავლის სინონიმურად გამოიყენება. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ტერმინი შეეხება ყველა ტექნოლოგიას, რომელიც გამოიყენება სწავლის ხელშესაწყობად, ხოლო ინტერნეტით გაუმჯობესებული/გაძლიერებული სწავლება ფოკუსირებულია დაკავშირებასა და ვებ-რესურსების გამოყენებაზე.”*

ახალ სახელმძღვანელოში მოცემულია ციფრულ ტექნოლოგიასთან და სწავლებასთან დაკავშირებული ტერმინთა განმარტებებიც.

<sup>25</sup> QAA 2020. Guidance: Building a Taxonomy for Digital Learning. გვ.16  
<https://www.qaa.ac.uk/docs/qaa/guidance/building-a-taxonomy-for-digital-learning.pdf>

### 1.2.3. ირლანდია

ირლანდიის ხარისხისა და კვალიფიკაციების სააგენტოს (QQI) საკონსულტაციო დოკუმენტში გვხვდება შემდეგი ტერმინები:

*“მოქნილი და განაწილებული სწავლება (FDL) - პროგრამა ან მოდული, რომელიც გარკვეულ დროსა და ადგილზე მხოლოდ აუდიტორიაში ან ღონისძიებაზე დასწრების ნაცვლად, სტუდენტს სთავაზობს მთლიანად დისტანციურ, ონლაინ ან შერეულ სასწავლო გამოცდილებას. როგორც წესი, ეს შეიძლება არ მოიცავს პირისპირ კონტაქტს სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის, თუმცა იყენებს ისეთ ტექნოლოგიებს, როგორცაა ინტერნეტი, ინტრანეტები, სამაუწყებლო მედია, CD-ROM და ვიდეო, ან კორესპონდენციის ტრადიციული მეთოდი - "დისტანციურად" სწავლება.*

*ელექტრონული სწავლება ესაა სწავლება, რომელიც ხორციელდება ან ხელშეწყობილია ტექნოლოგიის გამოყენებით”<sup>26</sup>.*

მოქნილი და განაწილებული სწავლების ზემოაღნიშნულ ტერმინში გაერთიანებულია QAA-ს ორი ტერმინი: მოქნილი და განაწილებული სწავლება და დისტანციური სწავლება.

პროგრამების ვალიდაციის პოლიტიკის დოკუმენტით “QQI-მ შეიძლება განახორციელოს პროგრამის ვალიდაცია, რომელიც მოიცავს მოქნილ ან განაწილებულ სწავლებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. ეს შეიძლება მოიცავდეს ონლაინ პროგრამას ან ელექტრონულ სწავლებისა და ცენტრზე-დაფუძნებული (პირისპირ) სწავლების ნარევს.”<sup>27</sup> ამ განმარტების მიხედვით ელექტრონული სწავლება გაგებულია არა როგორც ზოგადად ელექტრონული ტექნოლოგიის გამოყენება, არამედ სასწავლებელში პირისპირ განხორციელებული სწავლების საწინააღმდეგო ფორმა, რაც გულისხმობს დისტანციურად, ელექტრონული რესურსებით სწავლებას. QQI-ის სპეციალური დოკუმენტი, “შერეული სწავლების სახელმძღვანელო მითითებები/სტანდარტი,” შერეულ სწავლების განმარტებაში ელექტრონული სწავლების ნაცვლად იყენებს ტერმინს ონლაინ სწავლებას. შერეული სწავლება არის “აუდიტორიაში პირისპირ განხორციელებული სასწავლო გამოცდილების ინტეგრირება ონლაინ სწავლების გამოცდილებასთან.”<sup>28</sup>

## 1.3 ტერმინების ურთიერთშედარება

### 1.3.1 დისტანციური, ონლაინ თუ ელექტრონული სწავლება

<sup>26</sup> QQI (2016) Statutory Quality Assurance Guidelines for Flexible and Distributed Learning. White paper for consultations. [www.qqi.ie/Publications/Publications/QA%20Guidelines%20for%20Flexible%20and%20Distributed%20Learning.pdf](http://www.qqi.ie/Publications/Publications/QA%20Guidelines%20for%20Flexible%20and%20Distributed%20Learning.pdf)

<sup>27</sup> QQI (2017) Policies and criteria for the validation of programmes of education and training. გვ.11 [https://www.qqi.ie/Publications/Publications/Initial\\_Validation\\_policy\\_7\\_10\\_13.pdf](https://www.qqi.ie/Publications/Publications/Initial_Validation_policy_7_10_13.pdf)

<sup>28</sup> QQI. (2018). Statutory Quality Assurance Guidelines for Providers of Blended Learning Programmes <https://www.qqi.ie/Publications/Publications/Statutory%20QA%20Guidelines%20for%20Blended%20Learning%20Programmes.pdf>

ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ არა მარტო ჩნდება მასთან დაკავშირებული ახალი ტერმინები, არამედ არსებული ტერმინების დეფინიციებიც ხშირად გარკვეულ ცვლილებებს განიცდიან. დისტანციური სწავლების განმარტებას დიდი ხანია რაც დაემატა ინტერნეტით განხორციელებული სწავლება. ინტერნეტის ფართო ხელმისაწვდომობამ და ციფრული ტექნოლოგიის სწრაფმა განვითარებამ კი უმაღლესი განათლება დისტანციური, ონლაინ სწავლების ფორმატზე გადაიყვანა. ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენება უსდ-ის სასწავლო და ადმინისტრაციული საქმიანობის განუყოფელი ნაწილი გახდა. დღესდღეობით, ციფრული ტექნოლოგიის მხარდაჭერის გარეშე წარმოუდგენელია უსდ-ს ფუნქციონირება. ტერმინები დისტანციური, ონლაინ და ელექტრონული (ბოლო პერიოდში უფრო ხშირად გამოიყენება ტერმინი - ციფრული) ხშირად სინონიმებად გამოიყენება.

დისტანციური, ელექტრონული და ონლაინ სწავლების ტერმინების განმარტებებთან და მათი გამოყენების გავრცელებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- ტერმინი დისტანციური სწავლება, როგორც საუკუნოვანი ისტორიის მქონე, არის ყველაზე გავრცელებული ტერმინი. აშშ-ში ფედერაციულ დონეზეა განმარტებული ეს ტერმინი. სხვადასხვა ქვეყნისა თუ ორგანიზაციის მიერ დისტანციური სწავლების ტერმინი ხშირ შემთხვევაში განსახვავებულადაა ჩამოყალიბებული, თუმცა არსებითად მსგავსია. ტერმინის მთავარი განმსაზღვრელია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის სივრცეში დაშორება, რაც ყველა განმარტებაშია მოცემული. ინტერნეტის ფართო ხელმისაწვდომობის პირობებში, მის მნიშვნელობას ხშირად ავიწროვებენ და ონლაინ სწავლებასაც უწოდებენ.
- ტერმინი ელექტრონული სწავლება დიდ ბრიტანეთისა და ავსტრალიის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტებში, ევროპულ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და “სწავლების თანამეგობრობის”(CoL) ორგანიზაციის პუბლიკაციებში გვხვდება. ეს ტერმინი აღარ გამოიყენება ჩრდილო ამერიკაში: “ჩრდილო ამერიკის უმაღლეს განათლებაში ელექტრონული სწავლება, როგორც ტერმინი ბოლო წლებში მეტნაკლებად ჩაანაცლა ონლაინ სწავლებამ<sup>29</sup>”. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ EUA-მ თავის 2020 კვლევაში ელექტრონული სწავლების ტერმინი (რომელიც გამოიყენა 2014 წლის კვლევაში) ჩაანაცვლა ტერმინით - ციფრულად გაუმჯობესებული/გამდიერებული სწავლება.
- ელექტრონული სწავლების მახასიათებელია ICT-ს გამოყენება სასწავლო პროცესში, ამასთანავე სწავლების განხორციელების ფორმატს არ აქვს მნიშვნელობა (მაგ., EUA-ს 2014 წლის განმარტება; OECD -2005). შესაძლებელია ტერმინის მნიშვნელობის დავიწროვება და ამ შემთხვევაში იგი გაგებულია, როგორც ICT-ს გამოყენება დისტანციაზე სწავლებისას ანუ ონლაინ სწავლება.
- დისტანციური სწავლება და ელექტრონული სწავლება არაა სინონიმები. დისტანციური სწავლების ძირითადი მახასიათებელია დისტანციაზე სწავლება სხვადასხვა მეთოდით, ხოლო ელექტრონული სწავლების ძირითადი მახასიათებელია სწავლება ICT-ის მეშვეობით, არა აქვს მნიშვნელობა კამპუსში თუ დისტანციაზე. ამასთან, ცხადია, რომ მათი გადაკვეთის საერთო წერტილია ICT-ით/ინტერნეტით განხორციელებული დისტანციური სწავლება ანუ ონლაინ სწავლება.

<sup>29</sup>Online learning and distance education resources. <https://www.tonybates.ca/2008/07/07/what-is-distance-education>

- ონლაინ სწავლება აერთიანებს 2 მახასიათებელს: დისტანციას და ICT-ს/ინტერნეტის გამოყენებას და შესაბამისად საერთო აქვს, როგორც დისტანციურ ასევე ელექტრონული სწავლებასთან. სავარაუდოდ, ამის გამო ონლაინ სწავლება ხან დისტანციურის და ხან კი ელექტრონული სწავლების სინონიმად გამოიყენება. რაც ერთი შეხედვით გასაგებია, ვინაიდან დღესდღეობით დისტანციური სწავლება ხორციელდება ინტერნეტის მეშვეობით. თუმცა დისტანციური სწავლება და ონლაინ სწავლება არაა სინონიმები. ელექტრონული სწავლება და ონლაინ სწავლებაც არაა სინონიმები. ორივე შემთხვევაში გამოიყენებულია ICT, მაგრამ ელექტრონული სწავლება ყოველთვის არ გულისხმობს ონლაინ სწავლებას. ონლაინ სწავლება არის, როგორც დისტანციური ასევე ელექტრონული სწავლების ერთ-ერთი სახე.

### 1.3.2 შერეული, ჰიბრიდული თუ კომბინირებული სწავლება

ტერმინები შერეული (blended), ჰიბრიდული, “mixed” და კომბინირებული ძირითადად სინონიმებად განიხილება. QAA-ს 2020 წლის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ “შერეული სწავლება და ჰიბრიდული სწავლება არის ტერმინები, რომლებსაც პროვაიდერები ურთიერთჩანაცვლებით იყენებენ სწავლების იმ პროცესის აღწერისას, რომელიც სტუდენტების სწავლების სხვადასხვა მეთოდს აერთიანებს. ...ჰიბრიდული არაა გავრცელებული გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების სექტორში<sup>30</sup>”.

ტერმინი შერეული (blended) უმეტეს შემთხვევაში გამოიყენება ირლანდიაში, გაერთიანებული სამეფოსა და აშშ-ს ზოგიერთი შტატში. “შერეული სწავლების” ტერმინები მსგავსად განიმარტება და ზოგადად ნიშნავს პროგრამის განსახორციელებლად ტრადიციული სწავლებისა და სწავლების სხვა ფორმების ინტეგრირებას.

### 1.3.3 ელექტრონული სწავლება თუ ციფრული ტექნოლოგიით გაუმჯობესებული/გაძლიერებული სწავლება

ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების დინამიურმა განვითარებამ არა მარტო ახალი ტერმინები წარმოშვა, არამედ არსებულ ტერმინებზეც მოახდინა გავლენა. წინამდებარე დოკუმენტში ელექტრონული სწავლების ტერმინის ყველა დამოწმებულ განმარტებას ქრონოლოგიურად (2005- 2020) თუ დავალაგებთ მკაფიოდ დავინახავთ ამ ტერმინის ცვლილებას.

OECD 2005

*“ელექტრონული სწავლება გულისხმობს უმაღლეს განათლებაში სწავლების გასაუმჯობესებლად/გასაძლიერებლად ან/და მხარდასაჭერად ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიის გამოყენებას”.*

<sup>30</sup> QAA (2020). Guidance: Building a Taxonomy for Digital Learning. გვ. 3  
<https://www.qaa.ac.uk/docs/qaa/guidance/building-a-taxonomy-for-digital-learning.pdf>

EUA 2014

“ელექტრონული სწავლება - წინამდებარე კვლევისთვის ტერმინი ელექტრონული სწავლება არის ზოგადი სახელწოდება და აღწერს ყველა იმ სწავლებას, რომელიც სწავლებისა და სწავლის ხელშესაწყობად იყენებს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიებს.”

EUA 2020

“ციფრულად გაუმჯობესებული/გადლიერებული სწავლება არის სწავლების ნებისმიერი ტიპი, რომელსაც თან ახლავს ტექნოლოგია ან რომელიც მხარდაჭერილია ტექნოლოგიით”

QAA -2018

“ტექნოლოგიით გაუმჯობესებული/გადლიერებული ან ტექნოლოგიის შესაძლებლობებზე დაფუძნებული სწავლება (ან ელექტრონული სწავლება) - სწავლება რომელიც ხორციელდება ან მხარდაჭერილია ტექნოლოგიების გამოყენების მეშვეობით.

ელექტრონული სწავლება - იხ. “ტექნოლოგიით გაუმჯობესებული/გადლიერებული” ან ტექნოლოგიის შესაძლებლობებზე დაფუძნებული სწავლება”

QAA 2020

“ტექნოლოგიით გადლიერებული/გაუმჯობესებული სწავლება არის ზოგადი ტერმინი, რომელიც აღწერს ტექნოლოგიის გამოყენებას სწავლის, სწავლებისა და შეფასების ხელშესაწყობად და სტუდენტის გამოცდილების გასაუმჯობესებლად. ტექნოლოგიით გაუმჯობესებულ/გადლიერებულ სწავლებას შეუძლია ხელი შეუწყოს სწავლებას და სწავლას როგორც ადგილზე, ისე დაშორებით. ტერმინი ვებით გადლიერებული/გაუმჯობესებული სწავლება ზოგჯერ ტექნოლოგიით გადლიერებული სწავლის სინონიმურად გამოიყენება. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ტერმინი შეეხება ყველა ტექნოლოგიას, რომელიც გამოიყენება სწავლის ხელშესაწყობად, ხოლო ვებით გაუმჯობესებული/გადლიერებული სწავლება ფოკუსირებულია დაკავშირებასა და ვებ-რესურსების გამოყენებაზე.”

“ელექტრონული სწავლების”, “ტექნოლოგიით გაუმჯობესებული/გადლიერებული სწავლებისა” და “ციფრულად გაუმჯობესებული/გადლიერებული სწავლების” ტერმინთა განმარტებების განსხვავებულად ფორმულირების მიუხედავად ყველა ჩამოთვლილი ტერმინი ერთი და იგივე შინაარსის მატარებელია.

ბოლო ათწლეულში სახეზეა არა მარტო სიტყვა “ელექტრონულის” ჩანაცვლება სიტყვა “ციფრულით,” ან “ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების” ჩანაცვლება “ციფრული ტექნოლოგიით” ან მხოლოდ “ტექნოლოგიით,” არამედ მთლიანად ტერმინი - “ელექტრონული სწავლების” ტრანსფორმაცია “ციფრულად გაუმჯობესებული/გადლიერებული სწავლის” ტერმინად.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირმა 2001 წელს მიიღო “ელექტრონული სწავლების სამოქმედო გეგმა”, ხოლო 2018 წლიდან აქვს “ციფრული განათლების სამოქმედო გეგმა.”



### 1.3.4 დისტანციური (ან ონლაინ) სწავლება თუ დაშორებით სწავლება

პანდემიის გამო უსდ-ის მიერ სასწრაფოდ, ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებული სწავლების სახელწოდებამ სერიოზული დისკუსია გამოიწვია. კერძოდ, დაისვა კითხვა საგანგებო სიტუაციის გამო ტრადიციული სწავლებისათვის შემუშავებული პროგრამების ინტერნეტის მეშვეობით სწავლება არის დისტანციური (ან ონლაინ) თუ დაშორებით სწავლება?

დაშორებით სწავლების ტერმინი ძირითადად აშშ-ში გამოიყენება, თუმცა კოვიდ19-თან დაკავშირებით ეს ტერმინი ევროპაშიც აქტუალური გახდა. მაგ., დაშორებით სწავლის ტერმინს იყენებს ირლანდიის QQI კოვიდ19-ის რესურსების საიტზე. EUA-ს დოკუმენტი “ევროპის უმაღლესი განათლება კოვიდ19-ის კრიზისის დროს” იყენებს ტერმინს დაშორებით სწავლა და სწავლება საგანგებო სიტუაციის დროს (Emergency remote learning and teaching). კვლევის მიხედვით - “ხშირად აღნიშნებოდა, რომ ხორციელდება არა დისტანციური სწავლება, არამედ გადაუდებელი სიტუაციის დროს დაშორებით სწავლება<sup>31</sup>”

გაერთიანებული სამეფოს ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (QAA) მიერ 2020 წლის მარტში შემუშავებულ სახელმძღვანელოში დისტანციური და დაშორებით სწავლების ტერმინებთან დაკავშირებით აღნიშნულია შემდეგი: “ორი ტერმინის კონოტაციებს შორის განსხვავება ნიშნავს, რომ მათ შორის არსებობს მცირე განსხვავება, მაგრამ ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ ფუნდამენტური განსხვავებები იმაში რასაც ისინი აღწერენ. ... ამასთან, მხოლოდ ერთმა პროვაიდერმა გამოიყენა ეს ორი ტერმინი, რათა აეხსნა განსხვავება საგანმანათლებლო პროგრამებს შორის. დისტანციური სწავლების ტერმინი გამოიყენა არსებული დისტანციური პროგრამების დასახასიათებლად, ხოლო დაშორებით სწავლების ტერმინი კი იმ პროგრამებისათვის, რომლებიც კოვიდ19-ის სიტუაციის გამო გადავიდნენ სწავლების ციფრულ მიწოდებაზე.<sup>32</sup>”

ერთი შეხედვით თუ სწავლება ხორციელდება დისტანციაზე ინტერნეტის მეშვეობით ეს უნდა იყოს ონლაინ სწავლება, მაგრამ თუ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების დეტალებზე გადავალთ, მაშინ აშკარა ხდება, რომ კოვიდ19-ის დროს საგანგებო პირობებში სასწრაფოდ განხორციელებული და ინტერნეტზე დაფუძნებული სწავლება თავისი არსით არაა დისტანციური (ან ონლაინ) სწავლება. პანდემიის გამო სწავლების გადანაცვლება რეალური ფიზიკური სივრციდან ვირტუალურ სივრცეში თავისი ფორმით არის დისტანციური, მაგრამ არა თავისი არსით.

ამ ორი ტერმინის მნიშვნელობებს შორის სხვაობა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა იმ სასწავლებლებში, რომლებიც მანამდეც ახორციელებდნენ სწავლებას ორივე ფორმით, როგორც ონლაინ, ასევე ტრადიციული სწავლების ფორმით. პანდემიამ აიძულა ეს სასწავლებლები ტრადიციული სწავლების ფორმა შეეცვალათ ინტერნეტზე დაფუძნებული სწავლებით.

<sup>31</sup> EUA (2020) Survey on digitally enhanced learning in European higher education institutions. გვ.4  
<https://www.eua.eu/downloads/content/survey.pdf>

<sup>32</sup> QAA 2020. Guidance: Building a Taxonomy for Digital Learning  
<https://www.qaa.ac.uk/docs/qaa/guidance/building-a-taxonomy-for-digital-learning.pdf>

ამ ორი ტერმინის საერთო მახასიათებელია სწავლების დისტანციაზე განხორციელება ინტერნეტის გამოყენებით, თუმცა მსგავსება აქ მთავრდება. განსხვავება ეხება შემდეგ საკითხებს:

- პროგრამის შემუშავება და ხარისხის უზრუნველყოფა;
- სტუდენტებისა და მასწავლებლების მზაობა ონლაინ სწავლებისათვის;
- ელექტრონული რესურსების ხელმისაწვდომობა;
- სინქრონული და ასინქრონული სწავლება;
- განხორციელების დროებითი ხასიათი.

ა) ონლაინ სწავლების პროგრამები იქმნება ამ პროგრამის განხორციელების დაწყებამდე IT დეპარტამენტის მხარდაჭერით. ამის საპირისპიროდ საგანგებო სიტუაციაში ტრადიციული სწავლების ონლაინში გადატანის დროს ხდება ტრადიციული სწავლებისთვის შემუშავებული სასწავლო კურსების/მოდულების მიმდინარე რეჟიმში გადამუშავება ონლაინ სწავლებაზე მოსარგებად. მთელ მსოფლიოში უნივერსიტეტებმა ინტერნეტის მეშვეობით დაიწყეს ტრადიციული სწავლების პროგრამის სწავლება, ისე რომ მათი ხარისხის უზრუნველყოფა არ განხორციელებულა ონლაინ სწავლების პროგრამების სტანდარტით. უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციული და ონლაინ სწავლების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების მოთხოვნები ერთმანეთისგან განსხვავდება<sup>33</sup>.

ბ) ონლაინ სწავლების პროგრამებში მასწავლებელი მზადაა ციფრული ტექნოლოგიის გამოყენებისათვის. ასევე სტუდენტი, რომელიც ონლაინ პროგრამაზე სწავლას გადაწყვეტს არა მარტო მზადაა შესაბამისი ტექნოლოგიის გამოსაყენებლად, არამედ აქვს შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობაც. საგანგებო ვითარებაში მასწავლებელთა გარკვეული რაოდენობა შესაძლებელია მზად არ იყოს შესაბამისი ტექნოლოგიის გამოყენებისა და პროგრამების ინტერნეტის მეშვეობით სწავლებისათვის. სწავლების ხარისხი კი დამოკიდებულია, როგორც მასწავლებლის ასევე სტუდენტის ციფრული ტექნოლოგიის ცოდნისა და გამოყენების უნარზე. ამასთან, შესაძლებელია, რომ ყველა სტუდენტს არ ჰქონდეს სათანადო ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც აკმაყოფილებს მულტიმედიის თანამედროვე მოთხოვნებს ან არ ჰქონდეს კარგი ინტერნეტ-კავშირი.

გ) ონლაინ სწავლებისას პროგრამისთვის საჭირო ყველა რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონულ/ციფრულ ფორმატში. ტრადიციული სწავლების პროგრამებში კი სახელმძღვანელოები და სხვა რესურსები შესაძლებელია არ არსებობდეს ელექტრონული სახით, რაც საგანგებო სიტუაციაში ინტერნეტით სწავლებაზე გადასვლისას ართულებს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

<sup>33</sup> NC-SARA (2020). NC-SARA Manual 20.2. გვ.65

[https://www.nc-sara.org/sites/default/files/files/2020-07/SARA\\_Manual\\_20.2\\_Final\\_7.13.20.pdf](https://www.nc-sara.org/sites/default/files/files/2020-07/SARA_Manual_20.2_Final_7.13.20.pdf)

QQI. Statutory Quality Assurance Guidelines for Providers of Blended Learning Programmes გვ.3

<https://www.qqi.ie/Publications/Publications/Statutory%20QA%20Guidelines%20for%20Blended%20Learning%20Programmes.pdf>

დ) ონლაინ სწავლების ერთ-ერთი უპირატესობა ისაა, რომ სტუდენტს შეუძლია ისწავლოს მისთვის სასურველ დროს, მისთვის სასურველი ტემპით ე.ი. ასინქრონულ სწავლებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ონლაინ სწავლებაში. კოვიდ19-ის პანდემიის გამო ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებული სწავლება კი ძირითადად სინქრონულად ხორციელდება. რეალურად ხდება აუდიტორიული სიტუაციის გამეორება ონლაინ რეჟიმში იგივე დროს, რა დროშიც უნდა განხორციელებულიყო უსდ-ს აუდიტორიაში.

ე) პანდემიის ან სხვა საგანგებო სიტუაციის დასრულების შემდეგ ტრადიციული სწავლების პროგრამები ისევ დაუბრუნდება ძველ ფორმატს. მაშინ როდესაც დისტანციური, ონლაინ სწავლების პროგრამები ისევ გააგრძელებენ დისტანციურად სწავლებას. საგანგებო სიტუაციის დროს განხორციელებული ე.წ. ონლაინ სწავლება არის დროებითი ხასიათის. მიუხედავად იმისა, რომ კოვიდ19-ის პანდემია ჯერ არ დასრულებულა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ვებგვერდზე არსებული ინფორმაციით <sup>34</sup> მიმდინარე წლის 19 ოქტომბრიდან სტუდენტები აუდიტორიაში დაბრუნდებიან. ე.ი. დისტანციური სწავლება (კანონის თანახმად) იყო დროებითი ხასიათის და ამ სასწავლო პროცესის დასახასიათებლად სწორი იქნება ტერმინი “დაშორებით სწავლება საგანგებო პირობებში/სიტუაციაში” და არა დისტანციური ან ონლაინ სწავლება (ასევე იხ. დანართი 2 ).

## 2. დისტანციური და ელექტრონული სწავლების განმარტებები უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში მოცემულია ელექტრონული სწავლებისა და დისტანციური სწავლების განმარტებები (იხ. დანართი 3). ქვემოთ მოცემულ ცხრილში მათი ურთიერთშედარების შედეგად ხაზგამდგარია მსგავსი შინაარსის ფრაზები. ამ შედარებით ცხადი ხდება, რომ ამ ორ ტერმინში რეალურად ერთსა და იმავეზეა საუბარი.

ცხრილი 1. კანონის ტერმინები

დისტანციური სწავლება	ელექტრონული სწავლება
საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლესი განათლების ნებისმიერ საფეხურზე <u>უმაღლესი განათლების მისაღებად ორგანიზებული</u> , დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით წარმართული, <u>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი ან მისი ნაწილი, რომელიც არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილას სტუდენტისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის ერთდროულად ყოფნას.</u> დისტანციური სწავლების	საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პირებისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოში აკრედიტებულ უმაღლეს <u>საგანმანათლებლო პროგრამაზე კვალიფიკაციის მისაღებად ორგანიზებული, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი ან მისი ნაწილი, რომელიც არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილზე სტუდენტისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის ერთდროულად ყოფნას.</u> ელექტრონული სწავლების

<sup>34</sup> <http://mes.gov.ge/content.php?id=11104&lang=geo>

განსახორციელებლად აუცილებელია კურიკულუმის სათანადოდ დაგეგმვა, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და წარმართვის შესაბამისი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება;	განხორციელებისათვის აუცილებელია კურიკულუმის დაგეგმვის, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ადმინისტრირების შესაბამისი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება;
--	--

განმარტებების მიხედვით ორივე ფორმატით სწავლებისას აუცილებელია:

- სტუდენტსა და აკადემიურ პერსონალს შორის სივრცეში დაშორება;
- სასწავლო პროცესის ICT-ს საფუძველზე განხორციელება.

განსხვავებები ტერმინებს შორის:

ა) დისტანციური სწავლების განმარტება კომუნიკაციის სხვა საშუალებებსაც გულისხმობს, მაგალითად ტელევიზიას, რაც პრინციპულად სწორია. მაგრამ მაშინ როდესაც EUA ციფრული ტექნოლოგიით გაძლიერებულ სწავლებაზე აკეთებს ორიენტაციას, არაეფექტურია რაიმე სახის მინიშნება უმაღლეს განათლებაში ტელევიზიის (თუნდაც ციფრულის) მეშვეობით სწავლებაზე.

ბ) განსხვავებაა ასევე ელექტრონული სწავლების განმარტებებში (მუხლი 2. პ. "უ<sup>1</sup>"; მუხლი 47<sup>4</sup> პ.1) პენიტენციალურ სისტემაზე მორგებული რამდენიმე ფრაზა.

უნდა აღინიშნოს, რომ პენიტენციალურ სისტემაში სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის კანონში მხოლოდ დისტანციური სწავლების განმარტების არსებობაც საკმარისია. ამასთან, პენიტენციალურ სისტემაში დისტანციური სწავლების განხორციელების პირობები ცალკე პუნქტად უნდა ჩამოყალიბდეს. ამ პირობების უშუალოდ დისტანციური ან ელექტრონული სწავლების განმარტებაში ჩაწერა არამართებულია.

ორივე ტერმინის განმარტებაში აღნიშნულია, რომ დისტანციური ან ელექტრონული სწავლება ესაა “უმაღლესი განათლების მისაღებად ორგანიზებული ... სასწავლო პროცესი ან მისი ნაწილი”. თუ სასწავლო პროცესის ერთი ნაწილი ხორციელდება დისტანციურად/ელექტრონულად, მაშინ მისი მეორე ნაწილი სხვა ფორმით ხორციელდება. ეს განმარტებები ირიბად მიუთითებენ შერეული ფორმით სწავლებაზე.

საქართველოს კანონში ელექტრონული სწავლების ტერმინის მნიშვნელობა დავიწროვებულია და მისი დეფინიცია დისტანციურ სწავლებას შეესაბამება. გაუგებარია ორი მსგავსი მნიშვნელობის მქონე ტერმინის არსებობა კანონში. საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემამ მოქნილ სასწავლო პროცესებსა და ამ პროცესებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას უნდა შეუწყოს ხელი, შესაბამისად:

- კანონში ელექტრონული სწავლების ტერმინი ან შესაცვლელია ან საერთოდ ამოსაღები. შეცვლის შემთხვევაში ის უნდა ჩამოყალიბდეს ზოგადი განმარტების სახით და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ამ ტერმინმა ბოლო ათწლეულში ტრანსფორმაცია განიცადა. მაგალითად, იხ. EUA-ს განმარტება.
- გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ დისტანციური განათლების დეფინიციაში

მოცემულმა საკითხებმა თავისი ასახვა უნდა ჰპოვოს ხარისხის უზრუნველყოფის სათანადო სტანდარტებში. თუ კანონში მარტო ეს ტერმინი იქნება, მაშინ სტანდარტში უნდა აისახოს მაუწყებლობით სწავლების შესაბამისი საკითხებიც, რაც აშკარად არაეფექტური ძალისხმევა იქნება. უკეთესი იქნება თუ კანონს დაემატება ონლაინ სწავლების ტერმინი, როგორც დისტანციური განათლების ფორმა.

### 3. სწავლების ახალი ფორმები (ონლაინ, შერეული) და გამოწვევები

ბოლო ათწლეულში საქართველოს უსდ-ების საქმიანობაში ციფრული ტექნოლოგიის დანერგვა იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც კოვიდ19-ის პანდემიის პერიოდში ინტერნეტზე დაფუძნებული სწავლება შესაძლებელი გახადა. ამასთან, სწავლების ახალი ფორმ(ებ)ის შემოღება, ისევე როგორც სასწავლო პროცესის თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით განხორციელება მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აყენებს უმაღლესი განათლების სისტემას. EUA-ს 2020 წლის კვლევის მიხედვით “ეს მოულოდნელი და დამანგრეველი გადანაცვლება დაშორებით სწავლებაზე განსხვავდებოდა ზომების, მართვის მოდელებისა და დისციპლინების მიხედვით. დიდი და მრავალპროფილური დაწესებულებებისათვის დიდ გამოწვევას წარმოადგენს ამ მიმართულებით ერთიანი ინსტიტუციური მიდგომების განვითარება და დანერგვა.”<sup>35</sup>

შერეული და ონლაინ სწავლების დანერგვა საჭიროებს სასწავლო პროცესის განსხვავებული სახით ორგანიზებას, სწავლება-სწავლა-შეფასების განსხვავებული მიდგომების გამოყენებას, შესაბამის ინფრასტრუქტურას, რესურსებსა და ციფრული ტექნოლოგიის გამოსაყენებლად სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მზაობას, ისევე როგორც სწავლების ამ ფორმებისთვის სათანადო ხარისხის უზრუნველყოფას.

სწავლების ახალი ფორმების (ონლაინ და შერეული სწავლების) ზოგიერთი გამოწვევა:

- ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისი სტანდარტები;
- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მზაობა და მათი მხარდაჭერა;
- ინფრასტრუქტურა და ელექტრონული რესურსები;
- ვირტუალური მობილობა.

ა) ონლაინ სწავლება და შერეული სწავლება ტრადიციული, პირისპირ სწავლების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისგან განსხვავებულ მიდგომებს მოითხოვს.

ონლაინ და შერეული სწავლების პროგრამები შინაარსისა და მისაღწევი შედეგების მიხედვით ტრადიციული განათლების საგანმანათლებლო პროგრამის მსგავსი უნდა იყოს. აღნიშნული მსგავსების მიუხედავად სწავლების განსხვავებული ფორმატით განხორციელება ამ ფორმატის შესაბამის სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდებსა და შესაბამის რესურსებს მოითხოვს, რაც თავის მხრივ ტრადიციული და ონლაინ სწავლების პროგრამების შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს შორის განხვავებაზე მიუთითებს.

პანდემიის პერიოდში სასწავლო პროცესის 1-2 კვირის ვადაში დაშორებულ სწავლებაზე გადაწყობა წინააღმდეგობაში მოდის იმ დროსა და ძალისხმევასთან, რაც ჩვეულებრივ საჭიროა ონლაინ ან შერეული სწავლების პროგრამების შემუშავებისათვის.

<sup>35</sup> EUA (2020) Survey on digitally enhanced learning in European higher education institutions. გვ.3  
<https://www.eua.eu/downloads/content/survey.pdf>

ინტერნეტით სწავლებაზე სასწრაფოდ გადასვლა იყო მოულოდნელი პრობლემის დროებითი გადაწყვეტა. მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამები აკრედიტებულია ტრადიციული, პირისპირ სწავლების შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებით, რაც არ ითვალისწინებს ონლაინ სწავლების განხორციელებას. არამართებულია იმის მოლოდინი, რომ ტრადიციული სწავლებისთვის შექმნილი სასწავლო კურსები სრულად უპასუხებს ონლაინ კურსებისთვის/მოდულებისთვის წაყენებულ ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნებს. საგანგებო სიტუაციის დროს ინტერნეტით სწავლებამ სავარაუდოდ შეამცირა სასწავლო კურსების/მოდულების სწავლების ხარისხი. საშემსრულებლო პროგრამების, მედიცინის და ლაბორატორიული თუ პრაქტიკული მეცადინეობების მქონე სხვა პროგრამებში უადრესად გართულდა ან შეუძლებელიც კი გახდა ზოგიერთი სწავლის შედეგის მიღწევა. ასევე, უდავოა ის ფაქტი, რომ გარკვეულ შემთხვევებში არ არსებობდა საჭირო ელექტრონული სახელმძღვანელოები, სხვა დამხმარე ელექტრონული მასალები და ვირტუალური ლაბორატორიები.

პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტი ტრადიციული სწავლების ფორმისათვის არ გამორიცხავს ელექტრონული სახელმძღვანელოების არსებობას, მაგრამ ეს არაა სავალდებულო.

### **3.1 აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მზაობა ონლაინ ან შერეული სწავლებისათვის და მათი მხარდაჭერა**

ონლაინ და ასევე შერეული სწავლების გარემო განსხვავდება ტრადიციული სასწავლო გარემოსგან. შესაბამისად ონლაინ კურსების/მოდულების სწავლებისათვის ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენების მიზნით აკადემიურ პერსონალს უნდა ჰქონდეს არა მარტო თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა და გამოყენების უნარი, არამედ სათანადო პედაგოგიური ცოდნა-უნარები ონლაინ სასწავლო კურსების/მოდულების ეფექტურად წარმართვისათვის ანუ სწავლა-სწავლება და შეფასების სტრატეგიები მორგებული უნდა იყოს ინტერნეტის მეშვეობით სწავლებაზე.

როგორც წესი, აკადემიურ პერსონალს სხვადასხვა დონის ციფრული ცოდნა-უნარი აქვს. ონლაინ სწავლებისათვის აკადემიურ პერსონალს ციფრულ ტექნოლოგიაში პროფესიული განვითარება და მუდმივი მხარდაჭერა სჭრდება. კოვიდ19-ის პანდემიის პერიოდში დაშორებულ სწავლებაზე გადასვლამ მკაფიოდ გამოაჩინა, რომ აკადემიური პერსონალი მზად არ იყო თანამედროვე ტექნოლოგიების გამოსაყენებლად და ეს არაა მხოლოდ საქართველოსათვის დამახასიათებელი პრობლემა. მაგ., ირლანდიის QQI-ის მიერ კოვიდ19-ით გამოწვეული გავლენების შესასწავლად განხორციელებულ კვლევაში აღნიშნულია, რომ ყველა უმაღლეს დაწესებულებას აქვს შერეული სწავლების პროგრამების განხორციელების გამოცდილება, მაგრამ კოვიდ19-ის პანდემიის გამო მთლიანად ინტერნეტის მეშვეობით სწავლის განხორციელება აკადემიური პერსონალის გარკვეული ნაწილისათვის მაინც სერიოზული გამოწვევა აღმოჩნდა: "... პერსონალის 60%-მა აღნიშნა, რომ მათ აქვთ ონლაინ სწავლების ან შეზღუდული გამოცდილება ან საერთოდ არა აქვთ ეს გამოცდილება"<sup>36</sup>.

<sup>36</sup> QQI (2020). The Impact of COVID19 Modifications to Teaching, Learning and Assessment in Irish Further Education and Training and Higher Education. გვ.76  
<https://www.qqi.ie/Downloads/The%20Impact%20of%20COVID-19%20Modifications%20to%20Teaching%2C%20Learning%20and%20Assessment%20in%20Irish%20Further%20Education.pdf>

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიური პერსონალს, ციფრული ცოდნა-უნარების მიუხედავად, ონლაინ სასწავლო კურსებისა და სხვა დამხმარე ელექტრონული სასწავლო მასალის მომზადებისათვის IT დეპარტამენტის შესაბამისი ტენიკური მხარდაჭერაც სჭირდება.

სტუდენტებთან მიმართებაში, ტექნიკური თვალსაზრისით, შესაძლებელია არსებობდა 2 სახის გამოწვევა. შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის არ ქონა და შეზღუდული ინტერნეტ კავშირი. ირლანდიაში განხორციელებული კვლევა მიუთითებს, რომ სტუდენტებს უმეტეს შემთხვევაში ჰქონდათ წვდომა ონლაინ სწავლებასთან, ამასთან, ერთი უსდ აღნიშნავს, რომ მისი “სტუდენტების მხოლოდ 89%-ს ჰქონდა პერსონალური კომპიუტერი, ... 67%-ს ჰქონდა გარკვეული პრობლემები დაკავშირებაზე.<sup>37</sup>” საქართველოში მსგავსი კვლევა ეროვნულ დონეზე არ ჩატარებულა, მაგრამ ხარისხის უზრუნველყოფის თემატური ჯგუფის გამოკითხვამ მსგავსი შედეგები აჩვენა.<sup>38</sup>

ონლაინ სწავლების ინფრასტრუქტურამ სტუდენტების ტექნიკური მხარდაჭერაც უნდა უზრუნველყოს. მათ შორის უნდა იძლეოდეს მკაფიო ინფორმაციას სტუდენტებისათვის ონლაინ ან შერეული სწავლებისათვის საჭირო ტექნიკურ აღჭურვილობაზე და სთავაზობდეს ტექნიკურ დახმარებას მაგ., ონლაინ ცხელი ხაზს ტექნიკური ხასიათის პრობლემების გადასაჭრელად.

რაც შეეხება პანდემიის დროს ინტერნეტით სწავლას, “მოტივაცია იყო სერიოზული გამოწვევა სტუდენტებისათვის. ირლანდიის სტუდენტთა კავშირის კვლევაში მითითებულია, რომ სტუდენტების 75%-მა ის (მოტივაცია) მიუთითა, როგორც ერთ-ერთი დაბრკოლება, რომელიც მათ შეექმნათ”<sup>39</sup>

### 3.4 ინფრასტრუქტურა და ელექტრონული რესურსები

თუ ტრადიციული სწავლებისას გადაწყვეტილება სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრაზე გარკვეულწილად დამოკიდებულია პროგრამისთვის საჭირო სპეციფიკურ ფიზიკურ რესურსებზე, ონლაინ და შერეული სწავლებას უკვე სხვა ფაქტორები შემოაქვს. სწავლების ამ ფორმებისათვის ფიზიკური სივრცე ან არაა საჭირო ან ნაკლებადაა საჭირო. შესაბამისად, ონლაინ ან შერეული სწავლებისათვის მატერიალური ინფრასტრუქტურა მეორე პლანზე გადადის. სამაგიეროდ, ონლაინ სწავლისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ციფრულ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ინფრასტრუქტურა. აუცილებელი ხდება ციფრული ტექნოლოგიით მხარდაჭერილი ინფრასტრუქტურის განვითარება და ვირტუალური სასწავლო გარემოს შექმნა. მათ შორის ვირტუალური ლაბორატორიები; ელექტრონული სასწავლო მასალები და სახელმძღვანელოები; ლექციის აუდიო - ვიდეო ჩანაწერები, ციფრული ბიბლიოთეკები, სწავლების მართვის სისტემები და ა.შ.

იქიდან გამომდინარე, რომ სტუდენტების უმეტესობას აქვს მობილური, მნიშვნელოვანი

<sup>37</sup> Ibid. გვ.75

<sup>38</sup> <https://www.tsu.ge/ka/quality-assurance/page/თემატური-ჯგუფის-შეხვედრები>

<sup>39</sup> Ibid. გვ.89



ხდება ვირტუალურ სასწავლო გარემოს შესაბამისი მობილური აპლიკაციების არსებობაც. ამასთან, ვირტუალური სასწავლო გარემოს შექმნისას ერთ-ერთი კრიტიკული საკითხია პირადი მონაცემების დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

### 3.5 ინტერნაციონალიზაცია და ვირტუალური მობილობა

როგორც EUA-ს პუბლიკაციაშია აღნიშნული უმაღლეს განათლებაში კოვიდ19-ის პანდემიის “პირველი მსხვერპლი ინტერნაციონალიზაცია და მობილობაა.”<sup>40</sup> კოვიდ19-ის პანდემიის გამო როგორც სტუდენტების ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ფიზიკურ მობილობა შეუძლებელი გახდა.

ინტერნაციონალიზაცია იქნება ახალი, მაგრამ რეალური გამოწვევა ზოგადად განათლების სისტემისათვის. ონლაინ და შერეული სწავლება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ვირტუალური მობილობის საშუალებას იძლევა. მობილობა შესაძლებელია როგორც ქვეყნის გარეთ ასევე ქვეყნის შიგნით. ამასთან, საჭირო იქნება ქვეყანაში არსებული რეგულაციების გადახედვა, ვირტუალური მობილობისა და აღიარების ხელშეწყობისათვის.

## 4. რეკომენდაციები

### 4.1. სამართლებრივი საფუძვლების შექმნა სწავლების ალტერნატიული ფორმების ხელშეწყობისათვის

პანდემიისგან დამოუკიდებლად, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების კვალდაკვალ შეუძლებელიც კი ხდება ციფრული ტექნოლოგიის არგამოყენება სასწავლო პროცესში. უდავოა, რომ ტრადიციულ, პირისპირ სწავლებაში სულ უფრო მეტი ციფრული ტექნოლოგია და რესურსი შემოდის.

ინტერნეტის ხელმისაწვდომობისა და ციფრული რესურსების განვითარების ფონზე ონლაინ სწავლების ელემენტების ინტეგრირება ტრადიციულ სწავლების პროცესში სულ უფრო მიმზიდველი ხდება. ასევე სავარაუდოა, რომ უსდ-ების ნაწილს პანდემიის დროს ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებული სწავლებისას მიღებული გამოცდილების შემდგომი განვითარებისა და ტრადიციული სწავლების პროცესში ონლაინ სწავლების ელემენტების ინტეგრირების სურვილი ექნებათ.

სწავლების ალტერნატიული ფორმების შემოღებისათვის საჭიროა უმაღლესი განათლების შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. ციფრული ტექნოლოგიის დინამიური განვითარების ფონზე მხოლოდ დისტანციური სწავლების ტერმინის შემოტანა არაა საკმარისი. კანონმდებლობით უნდა განიმარტოს ახალი ტერმინები: ონლაინ სწავლება და შერეული სწავლება და ასევე ცვლილებები შევიდეს არსებულ განმარტებებშიც.

ა) შერეული (blended) სწავლების ტერმინი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

<sup>40</sup> EUA (2020) Survey on digitally enhanced learning in European higher education institutions. გვ.4  
<https://www.eua.eu/downloads/content/survey.pdf>

- **შერეული სწავლება** არის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლესი განათლების ნებისმიერ საფეხურზე უმაღლესი განათლების მისაღებად ორგანიზებული სასწავლო პროცესი, რომელიც ახდენს ტრადიციული და ონლაინ სწავლების კომბინირებას. ტრადიციულ და ონლაინ სწავლებას შორის თანაფარდობა განისაზღვრება ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტით.

კანონში შერეული სწავლების ტერმინი უნდა განიმარტოს ზოგადი სახით, ხოლო სწავლების ფორმებს შორის თანაფარდობის საკითხი, რაც აუცილებლად დადგება პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში, უნდა განისაზღვროს ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტით.

ბ) ონლაინ სწავლების ტერმინი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

- *ონლაინ სწავლება - არის დისტანციური სწავლების ფორმა, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლესი განათლების ნებისმიერ საფეხურზე უმაღლესი განათლების მისაღებად ორგანიზებული სასწავლო პროცესი, სადაც სწავლება მთლიანად ან მისი უმეტესი ნაწილი ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტის მეშვეობით.*

ონლაინ სწავლების ტერმინის შემთხვევაშიც არაა აუცილებელი თანაფარდობების კანონით განსაზღვრა. ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტით შესაძლებელია განისაზღვროს თუ რას ნიშნავს “უმეტესი ნაწილი”. მაგ., იუნესკოს კუბლიკაციის მიხედვით ესაა მინიმუმ 80%.

გ) დისტანციური სწავლების ტერმინში საჭიროა ცვლილების განხორციელება. განმარტებიდან უნდა ამოვიდეს ფრაზა “ან მისი ნაწილი”. განმარტება მიიღებს შემდეგ სახეს:

- დისტანციური სწავლება – საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლესი განათლების ნებისმიერ საფეხურზე უმაღლესი განათლების მისაღებად ორგანიზებული, დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით წარმართული, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი, რომელიც არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილას სტუდენტისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის ერთდროულად ყოფნას. დისტანციური სწავლების განსახორციელებლად აუცილებელია კურიკულუმის სათანადოდ დაგეგმვა, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და წარმართვის შესაბამისი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება;

დ) გადასახედია ელექტრონული სწავლების ტერმინი. ტერმინი “ელექტრონული” აქტიურად ჩანაცვლა ტერმინმა “ციფრული” (იხ. 1.3.3 და 1.3.1). ელექტრონული სწავლების ტერმინი ან ამოღებულ უნდა იქნეს კანონიდან ან განიმარტოს უფრო ზოგადი სახით. მაგალითად, EUA-ს უახლესი განმარტება:

- **ციფრულად (ან ციფრული ტექნოლოგიით)** გაუმჯობესებული/გამდიერებული სწავლება - არის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლესი განათლების ნებისმიერ საფეხურზე სწავლების ნებისმიერი ფორმა, რომელიც მხარდაჭერილია ციფრული ტექნოლოგიით.

ამ ტიპის ზოგადი განმარტების არსებობა კანონმდებლობაში მნიშვნელოვანია, იმდენად რამდენადაც ის უსდ-ს შესაბამისი სტარტეგიების შემუშავებისაკენ მიუთითებს.

- პენიტენციალურ სისტემასთან დაკავშირებული პირობები ცალკე პუნქტის სახით ჩამოყალიბდეს დისტანციური სწავლების მუხლში.

#### 4.2. ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების შემდგომი განვითარება

სწავლების ალტერნატიულ ფორმებისთვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნა უნდა აისახოს არა მარტო ტერმინთა განმარტებებში, არამედ ხარისხის უზრუნველყოფის სათანადო სტანდარტების შემუშავებაშიც.

- ტრადიციული, ონლაინ და შერეული სწავლების საგანმანათლებლო პროგრამებს ხარისხის უზრუნველყოფის განსხვავებული სტანდარტები სჭირდებათ. განსხვავებული სასწავლო გარემო სწავლება-სწავლისა და შეფასების განსხვავებულ მიდგომებს მოითხოვს.
  - მაგ., ირლანდიის QQI-ის შემუშავებული აქვს “შერეული სწავლების სახელმძღვანელო მითითებები”<sup>41</sup> სადაც აღნიშნულია, რომ შერეული სწავლების სახელმძღვანელო მითითებები/სტანდარტი არ ვრცელდება ონლაინ სწავლებაზე, ვინაიდან შერეული სწავლება პირისპირ სწავლებასაც მოიცავს.
- შერეული სწავლება ტრადიციული და ონლაინ ფორმების კომბინირებას გულისხმობს. ხარისხის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია იმის გარკვევა თუ სად გადის ზღვარი ტრადიციულ, ონლაინ და შერეული სწავლების ფორმებს შორის ანუ რა თანაფარდობა უნდა იყოს ტრადიციულ და ონლაინ სწავლებას შორის, რომ ის შერეულ სწავლებად ჩაითვალოს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ თანაფარდობის განსაზღვრა მაინც ტექნიკური ხასიათის გადაწყვეტილება იქნება. შერეული სწავლება არაა ონლაინ და ტრადიციული კურსების მარტივი ჯამი. შერეული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისათვის უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანი იქნება იმის გარკვევა თუ რამდენად ეფექტურია ტრადიციული და ონლაინ სწავლების ინტეგრაცია (რა თანაფარდობაც არ უნდა იყოს მათ შორის) პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.
- ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის აუცილებელი იქნება დისტანციურ, ონლაინ, შერეულ სწავლებასთან და ზოგადად ციფრული ტექნოლოგიით გაუმჯობესებულ/გამდიდრებულ სწავლებასთან დაკავშირებული სხვა ტერმინების განმარტებების შემუშავება განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ. ამ მიზნებისათვის შესაძლებელია ისეთი წყაროების გამოყენება, როგორცაა. მაგ. EUA, QAA; CoL.

<sup>41</sup> QQI (2018). Statutory Quality Assurance Guidelines for Providers of Blended Learning Programmes. გვ.3  
<https://www.qqi.ie/Publications/Publications/Statutory%20QA%20Guidelines%20for%20Blended%20Learning%20Programmes.pdf>

#### 4.3. ტრენინგები ონლაინ სწავლების ხელშეწყობისათვის

მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება არის უსდ-ს საქმე, დღეს არსებული გამოწვევების დაძლევა და სწავლების მოქნილი ფორმების განვითარება ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს. შესაბამისად, სასურველია ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ უსდ-თვის ტრენინგების ორგანიზება ონლაინ სწავლა-სწავლება-შეფასების სტრატეგიებთან დაკავშირებით.

## დანართები

### დანართი 1.

აშშ ფედერალური კანონი - “უმაღლესი განათლების შესაძლებლობის აქტი” 2008

ნაწილი I, პარაგრაფი 103

“(19) დისტანციური განათლება

(A) **ზოგადი.** — თუ სხვა რამ არაა მითითებული, ტერმინი „დისტანციური განათლება“ ნიშნავს განათლებას, რომელიც იყენებს (B) ქვეპუნქტში აღწერილ ერთ ან რამდენიმე ტექნოლოგიას:

(i) რათა განახორციელოს მასწავლებლისგან დაშორებით მყოფი სტუდენტების სწავლება და

(ii) ხელი შეუწყოს სტუდენტებსა და მასწავლებელს შორის რეგულარულ და არსებით, სინქრონულ ან ასინქრონულ, ინტერაქციას

(B) **ინკლუზია/მოიცავს.** – (A) ქვეპარაგრაფის მიზნებისათვის გამოყენებული ტექნოლოგიები შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

(i) ინტერნეტს;

(ii) ცალმხრივ ან ორმხრივ ტრანსმისიას ღია მაუწყებლობის, დახურული გადაცემის, საკაბელო, მიკროტალღოვან, ბოჭკოვან ოპტიკის, სატელიტურ ან უკაბელო კომუნიკაციის მოწყობილობების მეშვეობით;

(iii) აუდიო კონფერენციას ან

(iv) ვიდეო კასეტებს, DVD-ს ან CD-ROM-ს თუ ვიდეო კასეტები, DVD-ი ან CD-ROM-ი სასწავლო კურსში/პროგრამაში გამოიყენება (i)-დან (iii)-მდე პუნქტებში ჩამოთვლილ ნებისმიერ ტექნოლოგიებში”.

## დანართი 2

### დაშორებით vs ონლაინ განათლება

	დაშორებით	სრულად ონლაინ
დაგეგმვის ფილოსოფია	დაგეგმილია მასწავლებლის (ინსტრუქტორის) მიერ, გარკვეული ხელშეწყობით. სწავლების გამოცდილება განსხვავდება და დამოკიდებულია ელექტრონულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით მასწავლებლის ცოდნის დონეზე	მასწავლებელს (ინსტრუქტორს), როგორც შინაარსის ავტორს, აქვს სასწავლო დიზაინერისა და მედიის მხარდაჭერა; სხვადასხვა ტექნოლოგია ხელს უწყობს თვითრეგულირებულ სასწავლო გამოცდილებას.
პროგრამის შემუშავება	ხშირად ვითარდება კვირიდან კვირამდე პროგრამის საერთო გეგმის გათვალისწინებით	შემუშავებულია პროგრამის დაწყებამდე. შეიძლება განიცადოს მრავალი ცვლილება სანამ პროგრამის განვითარება დასრულდეს ჩაითვლება.
სასწავლო პროცესის განხორციელება (სწავლება)	ასინქრონული (ანუ ჩაწერილი ლექციები) ან სინქრონული (ანუ სწავლება რეალურ დროში ვებკონფერენციების აპლიკაციების მეშვეობით).	ძირითადად ასინქრონული; ზოგიერთი სინქრონული კომპონენტი.
სტუდენტების მზაობა	სტუდენტები შეიძლება ნაკლებად იყვნენ ტექნოლოგიურად მომზადებულები, ჰქონდეთ მხოლოდ მობილურები და შეზღუდული (ინტერნეტ)კავშირი სახლებში; სასწავლო დაგეგმვა უნდა ასახავდეს ამ შეზღუდვებს.	სტუდენტებმა თავიდანვე იციან, რომ ყველა ინსტრუქცია ინტერნეტით განხორციელდება, ამიტომ, სავარაუდოდ, ექნებათ წვდომა იმ ტექნოლოგიაზე, რომელიც მათ სასწავლო პროცესში აქტიურად ჩაერთვის საშუალებას მისცემს.
სწავლის მართვის სისტემის გამოყენება	სწავლის მართვის სისტემის ზოგადი გამოყენება სტუდენტებთან კომუნიკაციისთვის, სასწავლო კურსის შინაარსის გადასაცემად, შეფასებისა და ქულების ადმინისტრირებისთვის.	სწავლის მართვის სისტემის ინსტრუმენტებისა და კომპონენტების სრულყოფილი გამოყენება სტუდენტების სოციალური ინტერაქციისა და სასწავლო საქმიანობის ხელშესაწყობად.
მასწავლებლის ჩართულობა	ასახავს ტრადიციული, პირისპირ სწავლების მოლოდინს.	სტუდენტები უნდა იყვნენ თვითრეგულირებადები, მასწავლებლი ახდენს პერიოდულ შემოწმებას სტუდენტთა პროგრესის

	დაშორებით	სრულად ონლაინ
		მონიტორინგისა და უკუკავშირის უზრუნველსაყოფად.
ინტერაქცია ჯგუფის წევრებთან	პერიოდული და ხშირად მასწავლებლის მიერ ინიცირებული.	ინტერაქცია ჩაშენებულია სასწავლო აქტივობებში. სასწავლო გარემოში განსაზღვრულია სივრცეები სოციალური ინტერაქციისათვის.

წყარო: The Centre for Innovation in Teaching and Learning (CITL) is an academic support centre at Memorial University.

<https://blog.citl.mun.ca/instructionalresources/remote-vs-online-instruction/>

## დანართი 3

### ამონაკრები უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონიდან

#### მუხლი 2.

კ<sup>2</sup>) დისტანციური სწავლება – საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლესი განათლების ნებისმიერ საფეხურზე უმაღლესი განათლების მისაღებად ორგანიზებული, დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით წარმართული, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი ან მისი ნაწილი, რომელიც არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილას სტუდენტისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის ერთდროულად ყოფნას. დისტანციური სწავლების განსახორციელებლად აუცილებელია კურიკულუმის სათანადოდ დაგეგმვა, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და წარმართვის შესაბამისი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება;

უ<sup>1</sup>) ელექტრონული სწავლება – საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პირებისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე კვალიფიკაციის მისაღებად ორგანიზებული, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი ან მისი ნაწილი, რომელიც არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილზე სტუდენტისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის ერთდროულად ყოფნას. ელექტრონული სწავლების განხორციელებისათვის აუცილებელია კურიკულუმის დაგეგმვის, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ადმინისტრირების შესაბამისი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება;

#### მუხლი 47<sup>4</sup>. ელექტრონული სწავლება

1. ელექტრონული სწავლება ითვალისწინებს სასწავლო პროცესის სწავლის მართვის სისტემის გამოყენებით წარმართვას. სწავლის მართვის სისტემა არის ინტერნეტზე დამყარებული კომპიუტერული პროგრამა, რომელიც აუცილებელია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და წარმართვისათვის, კერძოდ, სასწავლო მასალების მიწოდებისათვის, სტუდენტის (გარდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული სტუდენტისა) სტუდენტთან ან/და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალთან კომუნიკაციისათვის, ტესტირებისათვის, კონსულტირებისათვის, სტუდენტთა პროგრესის მონიტორინგისა და სხვა მიზნებისათვის.



## გამოყენებული ლიტერატურა და სასარგებლო ბმულები

1. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (კოდიფიცირებული)  
<https://matsne.gov.ge/document/view/32830?publication=85>
2. Higher education opportunity act. 2008. SEC. 103. ADDITIONAL DEFINITIONS.  
<https://www2.ed.gov/policy/highered/leg/hea08/index.html>
3. Code of Federal Regulations. Title 34. Part 600. Section 600.2  
<https://www.ecfr.gov/cgi-bin/text-idx?node=pt34.3.600&rgn=div5#sp34.3.600.a>
4. Federal Register /Vol. 85, No. 171 /Wednesday, September 2, 2020 /Rules and Regulations.  
<https://www.govinfo.gov/content/pkg/FR-2020-09-02/pdf/2020-19150.pdf>  
<https://www.chea.org/us-department-education-issues-final-distance-education-and-innovation-regulations>
5. Pennsylvania CODE. TITLE 22 Subpart C. § 31.2. Definitions.  
<https://www.pacodeandbulletin.gov/Display/pacode?file=/secure/pacode/data/022/chapter31/s31.2.html&d=reduce>
6. New Jersey Administrative Code § 9A:1-1.2 (Lexis Advance through the New Jersey Register, Vol. 52 No. 17, September 8, 2020)  
<https://advance.lexis.com/container?config=00JAA5OTY5MTdjZi1lMzYxLTQxNTEtOWFkNi0xMmU5ZTViODQ2M2MKAfBvZENhdGFsb2coFSYEAfv22IKqMT9DIHrf&crd=bbbfe957-e924-4d47-9263-23b5c9dd10b2&prid=9fa8a9cd-9e5b-4209-9953-38b4ddf74597>
7. South Carolina Commission on Higher Education  
POLICIES AND PROCEDURES FOR NEW ACADEMIC PROGRAMS, PROGRAM MODIFICATIONS, PROGRAM NOTIFICATIONS, PROGRAM TERMINATIONS, AND NEW CENTERS FOR SC PUBLIC COLLEGES AND UNIVERSITIES  
[https://www.che.sc.gov/CHE\\_Docs/academicaffairs/2018\\_06\\_07\\_Policies\\_and\\_Procedures\\_for\\_Academic\\_Programs.pdf](https://www.che.sc.gov/CHE_Docs/academicaffairs/2018_06_07_Policies_and_Procedures_for_Academic_Programs.pdf)
8. OECD –CERI (2005). E-learning in Tertiary Education  
<https://www.oecd-ilibrary.org/docserver/9789264009219-en.pdf?expires=1598303313&id=id&accname=guest&checksum=A6BB6B8D0C6ADC16FF424EE065360421>
9. OECD ( December 2005) Policy brief . E-learning in Tertiary Education.  
<http://www.oecd.org/education/ceri/35991871.pdf>
10. OECD (2020) The potential of Online Learning for adults: Early lessons from the COVID-19 crisis  
[https://read.oecd-ilibrary.org/view/?ref=135\\_135358-ool6fisocq&title=The-potential-of-Online-Learning-for-adults-Early-lessons-from-the-COVID-19-crisis](https://read.oecd-ilibrary.org/view/?ref=135_135358-ool6fisocq&title=The-potential-of-Online-Learning-for-adults-Early-lessons-from-the-COVID-19-crisis)

11. ENQA (2018). Considerations for quality assurance of e-learning provision Report from the ENQA Working Group VIII on quality assurance and e-learning  
<https://enqa.eu/indirme/Considerations%20for%20QA%20of%20e-learning%20provision.pdf>
12. EUA (2014). E-Learning in European higher education institutions.  
<https://eua.eu/downloads/publications/e-learning%20in%20european%20higher%20education%20institutions%20results%20of%20a%20mapping%20survey.pdf>
13. EUA (September 2020). European higher education in the Covid-19 crisis  
<https://eua.eu/resources/publications/939:european-higher-education-in-the-covid-19-crisis.html>
14. EUA (2020) Survey on digitally enhanced learning in European higher education institutions.  
<https://www.eua.eu/downloads/content/survey.pdf>
15. COL. (2020) Key Terms & Definition  
[http://oasis.col.org/bitstream/handle/11599/3558/2020\\_COL\\_ODL\\_KeyTerms\\_Definitions.pdf?sequence=1&isAllowed=y](http://oasis.col.org/bitstream/handle/11599/3558/2020_COL_ODL_KeyTerms_Definitions.pdf?sequence=1&isAllowed=y)
16. NC-SARA. State Authorization Reciprocity Agreements Policies and Standards  
[https://www.nc-sara.org/sites/default/files/files/2019-08/NC-SARA\\_Policies\\_Standards\\_May2016.pdf](https://www.nc-sara.org/sites/default/files/files/2019-08/NC-SARA_Policies_Standards_May2016.pdf)
17. DEAC (July 1. 2020) Accreditation Handbook  
[https://www.deac.org/UploadedDocuments/Handbook/DEAC\\_Accreditation\\_Handbook.pdf](https://www.deac.org/UploadedDocuments/Handbook/DEAC_Accreditation_Handbook.pdf)
18. QAA (2020). Guidance: Building a Taxonomy for Digital Learning  
<https://www.qaa.ac.uk/docs/qaa/guidance/building-a-taxonomy-for-digital-learning.pdf>
19. QAA glossary. [https://www.qaa.ac.uk/docs/qaa/guidance/qaa-glossary.pdf?sfvrsn=70cbfc81\\_2](https://www.qaa.ac.uk/docs/qaa/guidance/qaa-glossary.pdf?sfvrsn=70cbfc81_2)
20. QQI (2020). The Impact of COVID-19 Modifications to Teaching, Learning and Assessment in Irish Further Education and Training and Higher Education  
<https://www.qqi.ie/Downloads/The%20Impact%20of%20COVID-19%20Modifications%20to%20Teaching%20and%20Assessment%20in%20Irish%20Further%20Education.pdf>
21. QQI (2018). Statutory Quality Assurance Guidelines for Providers of Blended Learning Programmes  
<https://www.qqi.ie/Publications/Publications/Statutory%20QA%20Guidelines%20for%20Blended%20Learning%20Programmes.pdf>
22. QQI (2017) Policies and criteria for the validation of programmes of education and training. 33.11  
[https://www.qqi.ie/Publications/Publications/Initial\\_Validation\\_policy\\_7\\_10\\_13.pdf](https://www.qqi.ie/Publications/Publications/Initial_Validation_policy_7_10_13.pdf)

23. QQI (2016) Statutory Quality Assurance Guidelines for Flexible and Distributed Learning. White paper for consultations.  
<https://www.qqi.ie/Publications/Publications/QA%20Guidelines%20for%20Flexible%20and%20Distributed%20Learning.pdf>
24. Carlsen, A. Holmberg, C. Neghina, C. Owusu-Boampong A. (2016) Closing the Gap. Opportunities for distance education to benefit adult learners in higher education Opportunities for distance education to benefit adult learners in higher education. UNESCO Institute for Lifelong Learning.  
<https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000243264>
25. Hodges, C. Moore, S. Lockee, B. Trust, T. Bond, A. (2020). The Difference between Emergency Remote Teaching and Online Learning.  
<https://er.educause.edu/articles/2020/3/the-difference-between-emergency-remote-teaching-and-online-learning>
26. Online learning and distance education resources. Moderated by Tony Bates.  
<https://www.tonybates.ca/2008/07/07/what-is-distance-education/>
27. ACODE (2014) Benchmarks for Technology Enhanced Learning  
[https://www.acode.edu.au/pluginfile.php/550/mod\\_resource/content/8/TEL\\_Benchmarks.pdf](https://www.acode.edu.au/pluginfile.php/550/mod_resource/content/8/TEL_Benchmarks.pdf)
28. Open and Distance Learning Quality Council  
<https://www.odlqc.org.uk/>
29. International Council for Open and Distance Education (ICDE)  
<https://www.icde.org/>
30. European Association of Distance Teaching Universities (EADTU) <https://eadtu.eu/>
31. Guidelines for the Evaluation of Distance Education (On-line Learning) Council of Regional Accrediting Commissions (C-RAC).  
[http://download.hlcommission.org/C-RAC\\_Distance\\_Ed\\_Guidelines\\_7\\_31\\_2009.pdf](http://download.hlcommission.org/C-RAC_Distance_Ed_Guidelines_7_31_2009.pdf)
32. Mohr, S.C., & Shelton, K. (2017). Online faculty professional development framework [White paper]. Newburyport, MA: Online Learning Consortium.  
<https://onlinelearningconsortium.org/read/online-faculty-professional-development-framework/>  
<https://olc-wordpress-assets.s3.amazonaws.com/uploads/2017/10/OLC-Faculty-Professional-Development-Framework.pdf>
33. The Centre for Innovation in Teaching and Learning (CITL) Memorial University.  
<https://blog.citl.mun.ca/instructionalresources/remote-vs-online-instruction/>
34. The Tertiary Education Quality and Standards Agency (TEQSA)  
<https://www.teqsa.gov.au/glossary-terms>